გიორგი ქორიძე

კრიმინალური პროფესიონალიზმის მახასიათებელი

თავისებურებანი

წარმოდგენილია სამაგისტრო კვლევის პროექტი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2019 წელი

საავტორო უფლება © 2019 წელი, გიორგი ქორიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი [გვარი სახელი] მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომის კვლევის პროექტს და პროექტი მზად არის დასამტკიცებლად.

ხელმძღვანელი: _____

თარიღი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2019 წელი

ავტორი: გიორგი ქორიძე

დასახელება: კრიმინალური პროფესიონალიზმის მახასიათებელი

თავისებურებანი

ფაკულტეტი : იურიდიული

ხარისხი: სამართლის მაგისტრი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

გიორგი ქორიძე

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ჩემს მიერ დაწერილი ნაშრომი ეხება დანაშაულობას, მისი ჩადენის ხერხებს, დაფარვის გზებს, დანაშაულის ჩამდენი პირის ზოგად მახასიათებლებს, იმას თუ როგორ ყალიბდება ადამიანი დამნაშავედ, რომელი ხელის შემშლელი ფაქტორები უბიძგებს მას და რა შეიძლება გახდეს დანაშაულის თავიდან აცილების საშუალება.

კერძოდ კი, ყურადღება გამახვილებულია პროფესიულ დანაშაულობაზე, რომელიც თავის თავში მოიაზრებს დანაშაულობის უამრავ ფორმას. პროფესიული დამნაშავეობა, ისევე როგორც დანაშაულობის სხვა ფორმები, ხასიათდება მისთვის სპეციფიკურად დამახასიათებელი ნიშნებით, მიუხედავად, იმისა, რომ სახელმწიფო დანაშაულის პრევენციის საკითხთან დაკავშირებით არაერთ ქმედით ნაბიჯს დგამს, კვალინდებურად მაღალია დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი, რაც საჭირო ღონისძიებათა განხორციელბას, კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის კი უფრო ეფექტური იქნებოდა ბრძოლა დანაშაულთა მიზეზებთან (სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიურ-პოლიტიკური თუ სამართლებრივი მექანიზმებით), ვიდრე ბრძოლა უკვე ჩადენილ დანაშაულთან, როგორც შედეგთან.

დეტალურად იქნება განხილული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ხელს უწყობს პიროვნების დამნაშავედ ჩამოყალიბებას, რა აიძულებს მას ასეთი გზის არჩევას, რა გზებს გადის სანამ ჩამოყალიბდება სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით დამრღვევად.

თემა დანაშავეობის შესახებ მუდმივად იყო და დღესაც არ კარგავს აქტუალობას, პირიქით, იხვეწება მისი ჩადენის ხერხი, ჩნდება ახალი სახეობები, უფრო რთული ხდება დამნაშავის გამოვლენა, რადგან დროის გასვლასთან ერთად ისინი უკეთ ახერხებენ შენიღბვას და დანაშაულის

დაფარვას,რაც დრო გადის პროფესიული დამნაშავეობა სულ უფრო ორგანიზებულ და მიზანმიმართულ ხასიათს იძენს, დამნაშავეს აინტერესებს ის შეცდომები, რომლებმაც ის მხილებამდე მიიყვანა და ცდილობს უფრო დახვეწილი გახადოს დანაშაულის ჩადენის ხერხები და მეთოდები,რაც თავის მხრივ მის წინააღმდეგ ბრძოლას აძნელებს. აღნიშნულიდან გამომდინარე პრობლემა აქტუალობას არასოდეს კარგავს.

აღნიშნულ დამნაშავეობასთან ბრძოლას უნდა დაეთმოს მნიშვნელოვანი ადგილი, რადგან შეიძლება პროფესიული დამნაშავეები უფრო მცირე ჯგუფს წარმოადგენდნენ ქვეყნის მასშაბით საერთო დამნაშავეთა რიცხვიდან,მაგრამ ეს არის ჯგუფი, რომელიც ყველაზე დიდ რაოდენობას სჩადის და ზიანს აყენებს სახელმწიფოს, საზოგადოებას და მოქალაქეებს. პროფესიულ დანაშაულობასთან ბრძოლისათვის აუცილებელია სისხლისსამართლებრივი ღონისძიებათა სრულყოფა პროფესიულ დანაშაულთა ბრძოლაში პროფესიულ დამნაშავეთა გამოვლენა და მათზე მუდმივი კონტროლი.

Anstract

The paper i wrote relates to the crime,the ways of committing it,the ways of repayment,the general characteristics of the person who committed the offense,how the person is found guilty,the positivist factors which pushes him and what can be the menas to prevent crime.

Specifically,the focus is on professional offenses,which in itself consider a large number of offenses.Professional offenses,as well as other forms of crime,are characterized by its specific characteristic characteristics,even though the state's crime prevention is one of the most effective steps.For the sake of the crimes,it would be more effective to fight with socioeconomic,ideological,political or legal mechanisms than fight adainst the offense as a result.

The details of the facts will be discussed in detail by the fact that the person is guilty of guilty,what forces him to choose such a path,as long as it is set up as a breach of the article under the criminal code.

The topic of crime was permanent and it still does not lose its sensibility,and on the contrary,the new method appears to be improved,the more difficult it is to find the offender,because time is better to disguise and cover the crime.Time goes by professional offenses,more organized and it is a deliberate character that the perpetrator is interested in errors,which led to the disclosure of the offense and trying to make more sophisticated ways,which makes it difficult to fight him,depending on the above,the problem is never lost.

The fight against crime must be given an important place,as it may be a small group of criminals more common across the country the number of offenders,but it is the group that most of crime,a large number of leaks and damage to the state,society and the fight against crime is required,criminal activities for the

improvement of professional fighting crime in the professional crminald and explose them to the permanent control.

შესავალი

პროფესიული დანაშაულობის ცნება პირველად მოხსენიებული იყო 1897 წელს კრიმინალისტების საერთაშორისო კავშირის ჰეიდელბერგის ყრილობაზე.თავდაპირველად ამ ცნებას უკავშირებდნენ დანაშაულთა მუდმივ სისტემატურ ჩადენას უწინარეს ყოვლისა საკუთრების სფეროში. [1] ცხადია ასეთი გაგება ძალზე ავიწროებდა პროფესიულ დანაშაულობის არსს.

პროფესიული დანაშაულობა გაგებულ უნდა იქნეს, როგორც დანაშაულობის დამოუკიდებელი სახეობა, დანაშაულთა ერთობლიობა, რომელსაც სჩადიან პროფესიონალი დამნაშავეები, სპეციალური ცოდნის, გამოცდილების, გამომუშავებული უნარ-ჩვევების საფუძველზე და მათი დანაშაულებრივი საქმიანობა წარმოადგენს მუდმივი შემოსავლის წყაროს მათი არსებობისა და განვითარების კუთხით.

პროფესიული დანაშაულობა კრიმინალური საქმიანობის ერთ–ერთი ყველაზე საშიში გამოვლინებაა, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ მხარეებზე, ასაზრდოებს რა კრიმინალს და მისი კვლავ წარმოების საფუძველს წარმოადგენს.

კრიმინალური პრაქტიკა ცხადყობს, რომ არსებობს 100-ზე მეტი კრიმინალური სპეციალობა, რომელთა რიცხვი, ოციან წლებთან შედარებით, საკმაოდ გაზრდილია.შემორჩენილია როგორც წარსულში არსებული ყველა სახეობა,ასევე შემუშავდა სრულიად ახალი სპეციალიზაციები.პროფესიული ქურდები, დამნაშავეთა ყველაზე

მრავალრიცხოვან კატეგორიას წარმოადგენენ, რომელთა უამრავ სახესხვაობას არჩევენ. ისინი ერთმანეთისგან დანაშაულის ჩადენის ადგილის და ხერხის მიხედვით განსხვავდებიან .

პროფესიულ დანაშაულობას, ისევე როგორც სხვა დანაშაულობის გამოვლინების სახეებს, გააჩნია თავისი საერთო-სოციალური და სპეციფიკური მიზეზები.

საერთო-სოციალურ მიზეზებს შეიძლება განვაკუთვნოთ: ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი; განათლებისა და კულტურის დაბალი ფონი; უმუშევრობა; დაუსჯელობის სინდრომის არსებობა; წინააღმდეგობები საზოგადოებრივ მოთხოვნილებებსა და სახელმწიფოებრივ დაკმაყოფილებას შორის; ანგარებითი მოტივების განხორციელებლობის შესაძლებლობა; ზნეობრივი ინსტიტუტების შესუსტება; კანონმდებლობის არასრულყოფილება;ნაკლოვანებები სამართალდაცვის ორგანოების მუშაობაში და სხვა.

კრიმინალურ პროფესიონალიზმთან ბრძოლა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ-სამართლებრივ ღონისძიებათა სისტემას. პროფესიულ დანაშაულობასთან ბრძოლისთვის აუცილებელია სისხლისსამართლებრივი ღონისძიებათა სრულყოფა, პროფესიულ დანაშაულთან ბრძოლაში პროფესიულ დამნაშავეთა გამოვლენა და მათზე მუდმივი კონტროლი.

აღნიშნულ დამნაშავეობასთან ბრძოლას უნდა დაეთმოს მნიშვნელოვანი ადგილი, რადგან შეიძლება პროფესიული დამნაშავეები უფრო მცირე ჯგუფს წარმოადგენდნენ ქვეყნის მასშტაბით საერთო დამნაშავეთა რიცხვიდან, მაგრამ ეს არის ჯგუფი, რომელიც დანაშაულობის ყველაზე დიდ რაოდენობას ჩადის და ზიანს აყენებს სახელმწიფოს,საზოგადოებას და მოქალაქეებს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დანაშაულის პრევენციის საკითხთან დაკავშირებით არაერთ ქმედით ნაბიჯს დგამს, კვლავინდებურად მაღალია დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი, რაც საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას, კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. დანაშაულთა თავიდან აცილებისათვის კი, უფრო ეფექტური იქნებოდა ბრძოლა დანაშაულობათა მიზეზებთან (სოციალურ - ეკონომიკური, იდეოლოგიურ - პოლიტიკური თუ სამართლებრივი მექანიზმებით), ვიდრე ბრძოლა უკვე ჩადენილ დანაშაულთან, როგორც შედეგთან.

რაც დრო გადის, პროფესიული დამნაშავეობა, სულ უფრო ორგანიზებულ და მიზანმიმართულ ხასიათს იჩენს, დამნაშავეს აინტერესებს ის შეცდომები, რომლებმაც ის მხილებამდე მიიყვანა და ცდილობს უფრო დახვეწილი გახადოს დანაშაულის ჩადენის ხერხები დამეთოდები, რაც თვისმხრივ მის წინააღმდეგ ბრძოლას აძნელებს. აღნიშნულიდან გამომდინარე , პრობლემა აქტუალურობას არასდროს კარგავს.

სამაგისტრო ნაშრომი **მიზნად ისახავს** პროფესიული დანაშაულობის

ნაშრომის მიზანია პროფესიული დანაშაულობის ცნების, მისი წარმოშობა-განვითარების, ხელშემწყობი ფაქტორების, მისი თავისებურებების დადგენა და მასთან ბრძოლის ეფექტური მეთოდების შემუშავება.

უდავოა, რომ პროფესიული დანაშაულობა, ისევე როგორც,დანაშაულობის ნებისმიერი სხვა ფორმა, ხასიათდება საქმიანობის საკუთარი სპეციფიკურიმეთოდებით და მონაწილეების ქცევის მოდულებით. ამიტომ მისი ძირითადი ნიშნებისაღწერისთვის აუცილებელია გავაანალიზოთ, როგორც საქმიანობის, ისე მისი სუბიექტებისმახასიათებლები.

კვლევის მეთოდები:

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებული იქნება დედუქციური,ინდუქციური,შედარებით-სამართლებრივი და ანალიტიკური მეთოდები.აღნიშნული მეთოდების გამოყენებით მკითხველისთვის უფრო ნათელი გახდება მოცემული თემის არსში გარკვევა და მისი აქტუალურობისა თუ პრობლემტიკის დასაბუთება.

ძირითადისაკვლევისაკითხებიდანაშრომისსავარაუდოსტრუქტურა;

1.პროფესიულიული დანაშაულობა

1.1. პროფესიულიულიდანაშაულობის არსი, დეფინიციები

1.2. პროფესიულიული და ორგანიზებული დანაშაულობის ურთიერთგანპირობებულობა

2.პროფესიულიული დანაშაულობის მახასიათებლები

2.1.დანაშაულებრივი ხელობა-დანაშაულებრივი საქმიანობის მუდმივი ხასიათი

2.2.სპეციალიზაცია ერთგვაროვან დანაშაულითა ჩადენა, თავისებური ,,შრომის განაწილება“

2.3.კვალიფიკაცია-გარკვეულ ცოდნისა და ჩვევების არსებობა

2.4. მუდმივი შემოსავალი-დანშაული, როგორც არსებობის საშუალებათა წყარო

3.კრიმინალური პროფესიონალიზმი- კლასიფიკაცია

3.1სპეციალიზაცია დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით

3.2სპეციალიზაცია დანაშაულის ჩადენის ხერხის მიხედვით

3.3. დამნაშავეთა კვალიფიკაცია

4.პროფესიულ დანაშაულობის დეტერმინანტები

4.1.პროფესიულ დანაშაულობის გამომწვევი მიზეზები

4.2.პროფესიულ დანაშაულობის ხელშემწყობი ფაქტორები

4.3. პროფესიულ დანაშაულობის ჩამდენი პირის მახასიათებლები

5. პროფესიულ დანაშაულობის თავიდან აცილება

5.1. საერთო პროფილაქტიკური ღონისძიებები

5.2. სპეციალურ -კრიმინოლოგიური ღონისძიებები

5.3. ინდივიდუალური პროფილაქტიკა

1.პროფესიულიული დანაშაულობა

დანაშაულებრივი სამყარო არსებობდა ხელისუფლების სხვადასხვა ოფიციალურ სტრუქტურებთან ერთად და დღემდე აგრძელებს არსებობას.

1.1. პროფესიულიული დანაშაულობის არსი, დეფინიციები

დანაშაულობის ცნებას საფუძველი ჩაეყარა 1897 წელს კრიმინალისტების საერთაშორისო კავშირის ჰეიდელბერგის ყრილობაზე და მას უკავშირდებოდა დანაშაულის სისტემატიური ჩადენა საკუთრების სფეროში.დანაშაულობას აქვს დამოუკიდებელი სახეობა,ეს არის პროფესიული დანაშაულობა,რომელიც შედგება დანაშაულთა ერთობლიოსგან,ჩადენილია პროფესიონალი დამნაშავეების მიერ,რომლებსაც აქვთ გარკვეული ჩვევები,ცოდნა და გამოცდილება.საზოგადოების კალსებად დაყოფისა და სახელმწიფოს წარმოშობიდან დღემდე დანაშაულობის პრობლემა საზოგადოებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია.ამ პრობლემისადმი ინტერესი იზრდება კლასობრივი საზოგადოების განვითარების მთელ მანძილზე,რაც შეიძლება იმით ავხსნათ,რომ დანაშაულობის ჩადენის რიცხვი დღითიდღე იზრდება.

იმისთვის,რომ შესწავლილი იქნეს დანაშაულობის მიზეზები,ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ დანაშაულობის მიზეზები

და დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობებო.დანაშაულობის მიზეზები არის ისეთი მოვლენები,რომლებიც უშუალოდ იწვევენდანაშაულის არსებობას.დანაშაულის ჩადენის პირობა შეიძლება იყოს ისეთი მოვლენა,რომელსაც იმის მიუხედავად,რომ თავად არ შესწევს უნარი გამოიწვიოს დანაშაული,თან ახლავს მიზეზები,რომლებიც უზრუნველყოფენ დანაშაულის განვითარებას.თანაედროვე ეტაპზე ჩვენს ქვეყანაშიდანაშაულობის არსებობას ორი კრიმინალურ პროფესიონალიზმს გააჩნია რამდენიმე ნიშანი,იმ შემთხვევაში როცა დანაშაულობა ატარებს მუდმივ ხასიათს საქმე გვაქვს დანაშაულობრივ ხელობასთან,ასევე არსებობს შრომის განაწილების თავისებურება,რაც შეიძლება სპეციალიზაციას მივაკუთვნოთ ერთ-ერთი ნიშანი,ეს არის კვალიფიკაცია,ანუ როდესაც დამნაშავეებს უყალიბდებათ გარკვეული ცოდნა და ჩვევები,დამნაშავის უმრავლესობას დანაშაული არსებობის წყაროდ აქვს გადაქცეული და სწორედ ამ დროს იკვეთება კრიმინალური პროფესიონალიზმის ოთხი ძირითადი ნიშნიდან ერთ-ერთი- მუდვილი შემოსავალი.საზოგადოებაში გავრცელებულია ის აზრი,რომ პროფესიული დამნაშავეები თავიანთ პირველ დანაშაულს სჩადიან არასრულწლოვნობის ასაკში,პროფესიული ქურდების ხელმძღვანელობით და გავლენით,პროფესიული დამნაშავეთა მიერ ხდება შრომის განაწილება ქურდები,თაღლითები,მძარცველები ხშირ შემთხვევაში არჩეული სპეციალიზაციისს ერთგულები არიან, რადგან სხვა სპეციალობას ჭირდება სხვა ჩვევები და გამოცდილება.

შესაძლებელია იმ ფაქტის მტკიცება,რომ სისხლისსამართლებრივ ურთოერთობაში სისხლის სამართლის ნორმის წინაპირობა არის დანაშაულებრივი ქმედება.დანაშაული შედგება სამი სახისაგან,შეგვიძლია დავახასიათოთ თითოეული მათგანი,პირველი ეს არის მარტივი,რომელიც შედის დამოუკიდებლად მუხლში,ხშირ შემთხვევაში გადმოცემულია ალტერნატიული ვარიანტით,რაც გამოხატულია იმაში,რომ სხვადასხვა სპეციფიკის დანაშაული განსხვავებულია ერთმანეთისგან.დანაშაულის მარტივი შემადგენლობისგან,შესაძლებელია დავამტკიცოთ დანაშაულების

შემდაგენელ ნაწილებს შორის არსებითი სხვაობა.რაც შეეხება მაღალკვალიფიციურ შემადგენლობას,ამაში შესაძლებელია მოვიაზროთ დამამძიმებელი გარემოებები,რომელიც შეიძლება წარმოიშვას როგორც განზრახ ასევე გაუფრთხილებლობით.არსებობს კიდევ ერთი შემადგენლობა ეს არის პრივილეგირებული,რომელიც აქვს დიდი მნიშვნელობა ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის,სასჯელის ზომის დანიშვნისთვის და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სასჯელისგან განთავისუფლებისათვის.

დანაშაულებრივი ქმედების მეცნიერული ახსნა-განმარტება გულისხმობს თეორიული საფუძვლის წარმოქმნის და ამ თეორიის გამოყენების ერთგვარ პროცესს.თეორიებს კრიმინოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.ემპირიული კვლევა თეორიის გარეშე ფიქცასიაა.იდეები და ჰიპოთეზები დამყარებულია წარმოდგენებზე ამა თუ იმ ობიექტის შესაახებ,რომელთაც თეორიული ან ემპირიული ფუძე,ძირი გააჩნია.კრიმინოლოგიური თეორიები ოთხ სხვადასხვა საკითხს ეხება,დანაშაული,დამნაშავე,დანაშაულის კონტროლი და დანაშაულის მსხვერპლი.თეორიათა უმრავლესობას რამდენიმე დანაშაულებრივი ქმედების ახსნა შეუძლია,ამიტომ მეცნიერების დიდი ნაწილის აზრით კრიმინოლოგიური თეორიების დანაშაულებრივი ქმედების ახსნა ძალიან მწირედ შეიძლება.ადამიანის ქცევის ჩამოყალიბებაში დიდი როლს თამაშობს მიღებული ცოდნა,გამოცდილება და განათლების დონე.დანაშაულებრივი ქცევის განვითარებისას მნიშვნელოვანი ხდება დამნაშავის გარემო,კერძოდ სკოლა,ოჯახი,სამუშაო ადგილი და სამეგობრო წრე,სწორედ აქედან გამომდიანრეობს,რომ ზემოთ აღნიშნული ურთიერთობები გადამწყვეტი ფაქტორია ბავშვის მიერ მოგვიანებით განხორციელებული ქცევისა.

დანაშაულებრივი ქმედების წარმატებას განაპირობას არა უბრალოდ დანაშაულის ჩამდენის ერთი კონკრეტული ხერხის შესწავლა,არამედ მოქმედების სრული პროგრამის.

დამნაშავედ ჩამოყალიბების პროცესში მათ აინტერესებთ ხერხებთან ერთად ის შეცდომებიც,რომლებმაც ცხადყო ისინი.იმ შემთხვევაში,როცა საქმე ეხება სპეციალიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის დადგენას,გათვალისწინებულია როგორც დამნაშავეთა სპეციალიზაცია,ასევე კვალიფიკაცია.

1.2. პროფესიულიული და ორგანიზებული დანაშაულობის ურთიერთ განპირობებულობა

ორგანიზებული დანაშაული,როგორც ცნება პირველად გამოიყენებს ჩიკაგოში 1919 წელს,ხოლო მოგვიანებით 1992 წელს გერმანიის ბუნდერსტანგის მიერ შემუშავებული განმარტების მიხედვით ორგანიზებული დანაშაული არის მოგების ან ძალაუფლების მიღების მიზნით ორზე მეტი პირის მიერ სისტემატიურად და ხანგძლივი პერიოდით დანაშაულის ჩადენა,თუ იგი ჩადენილია პროფესიული ან სამეწარმეო სტრუქტურების გამოყენებით ძალადობის ან დაშინების გზით პოლიტიკაზე,მედიაზე,მართლმსაჯულებაზე და ეკონომიკაზე გავლენის მოხდენის მიზნით.გაეროს საერთაშორისო კონფერენციის მიხედვით,რომელიც ჩატარდა 1991 წელს,ორგანიზებული დანაშაული დამნაშავეთა მართვადი მყარი გაერთიანების საქმიანობა,რომლის წევრებისათვის დანაშაულის ჩადენა წარმოადგენს ბიზნესს და რომელიც კორუფციის დახმარებით ქმნის სოციალური კონტროლისგან დაცულ სისტემას და აქედან გამომდინარეობს ორგანიზებული დანაშაულობის სამი ნიშანი.ერთ-ერთი ნიშნის მიხედვით არსებობს პირების გაერთიანება,რომლებიც დანაშაულს სჩადიან სისტემატიურად.კანონის სისტემატიური დარღვევის მთავარი მიზანი არის გამდიდრება და კაპიტალის დაგროვება და შევოსავლის მიღების წყაროა კორუფცია.

ორგანიზებული დანაშაულის ცნება მრავალხმრივია და დროის გასვლის მიუხედავად მაინც არ კარგავს აქტუალობას. ის უკავშირდება

დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემას, ამ პრობლემის კვლევას კი დიდი მნიშვენლობა აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ორგანიზებული დანაშაული პოპულარობით სარგებლობს მრავალ ქვეყანაში. ორგანიზებული დანაშაულის დროს შექმნილია გარკვეული ჯგუფები, მოქმედებენ წინასწარ შეთანხმებულად, მიზანი შეიძლება იყოს ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება. ორგანიზებული დანაშაულობის სპეციფიკა მოითხოვს რომ დანაშაული იყოს ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიერ. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი ხშირ შემთხვევაში დანაშაული არ არის, დანაშაული მაშინ ითვლება ჩადენილად თუ იგი დადასტურებულია კანონით. აქედან შეგვიძლია დავასკვანთ, რომ პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება იყოს ბრალი. რომ შევეხოთ თანამონაწილეობას, რომლიც გულისხმობს განძრახ ქმედებას ეს შეიძლება არ იყოს ბრალეული.

ორგანიზებული დანაშაულობა უხსოვარი დროიდან არ კარგავს აქტუალურობას,მაგრამ ყველაზე პოპულარული მაინც საბჭოთა კავშირის მიწურულს იყო,როდესაც ძალიან რთული გახდა ამ დანაშაულის არსებობის შესახებ მტკიცებულებების დამალვა.ორგანიზებულ დანაშაულობას მოცული ჰქონდა ეკონომიკა და ყველაფერი იყო დამნაშავეთა ხელში.გამორჩეული იყვნენ ლიდერები,რომლებიც ადგენდნენ ზოგად სამოქმედო გეგმას,რომლის მიხედვითაც უნდა უმოქმედათ ჯგუფის დანარჩენ წევრებს.გამოყოფილი იყო ორი მნიშვნელოვანი საკითხი,ორგანიზებული დანაშაულობის ჩადენა და ჩადენილი დანაშაულობის ორგანიზება.შექმნილ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს,რომელშიც გაერთიანებული იყვნენ პირები ჰქონდათ საერთო ამოცანა,სტრუქტურა,საქმის განაწილება და დისციპლინა,რომელიც შექმნილი იყო ჯგუფებისთვის ინდივიდუალურად.

როდესაც საქმე გვავს ორგანიზებულ დანაშაულობასთან,ყურადღება უნდა მივაქციოთ თუ ვინ არის ორგანიზატორი,დანაშაულობის ჩადენის

სტრუქტურას,დანაშაულის ჩადენის მიზანს,იმ საქმიანობის მიზანს რასაც წარმოადგენს დანაშაულებრივობა.დანაშაულებრივ ჯგუფს გააჩნია ხარისხი,რომელიც დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე.მათ შორის ეკონომიკურ,სოციალურ,გეოგრაფიულ.ორგანიზებული დანაშაულობის ჩადენის მთავარი მიზანი მდგომარეობს იმაში,რომ დამნაშავეებმა სხვის ხარჯზე მიიღონ მოგება და დიდი შემოსავალი.ორგანიზებული დანაშაულობა საზოგადოებისთვის ძალიან საშიშია,რადგან ის აყენებს მრავალი სახის ზიანს ცალკეულ პირებს,უარყოფითად აისახებ მრავალ ფაქტორზე.

ორგანიზებული დანაშაულობა მსოფლიოში მრავალი ქვეყნის პრობლემაა,მაგრამ ეს პრობლემებიც განსხვავებულია და შესაძლებელია ყველა ქვეყანას მისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა სახის პრობლემა გაუჩინოს.

ორგანიზებული დანაშაულობა თავის მხრივ დაკავშირებულია იურიდიული პირის პასუხისმგებლობასთან. ქმედების სიმძიმის მიხედვით შესაძლებელია მოვახდინოთ დანაშაულის კატეგორიებად დაყოფა. ორგანიზებული დანაშაულის ცნება სრულყოფილად არ არის გარკვეული.

ორგანიზებული დანაშაულობის შემდეგი ფორმები არსებობს, ესენია- ტრეფიკინგი, მასთან დაკავშირებული პრობლემები, ფულის გათეთრება, არეულობა, რომელიც მიიღეებს მასობრივ ხასიათს. ორგანიზებული ჯგუფი ერევა პოლიტიკაში და ის არის შედარებით მდგრადი სისტემა. ორგანიზებული დანაშაულობის დროს არსებობს ჯგუფის აზრი რომელიც ერთი იდეის ირგვლივ არის გაერთიანებული, არსებობს იერარქია, ძალადობა, ჯგუფში ახალი წევრების მიღება შეზღუდულია, მოგება მიიღება არალეგალური შემოსავლებით, სპეციალურად მათვის სასურველ საქონელზე აქვთ მონოპოლია, ხოლო რაც შეეხება ჯგუფის შიგნით მიმდინარე მოვლენებს ანაწილებენ სპეციალიზაციის მიხედვით.

ფრიხდირ ნიცშეს თქმით „მხოლოდ ისეთი არსებების მიმართ შეიძლება ცნების ჩამოყალიბება,რომელთაც ისტორია არ გააჩნიათ“.ეს სიტყვები ასახავს იმ მდგომარეობას,რომელიც კრიმინოლოგიაში არსებობს ორგანიზებული დანაშაულობის ცნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.ორგანიზებული დანაშაული წარმოადგენს მეცნიერთა კვლევის ობიექტს,რომელიც გრძელდება უკვე რამოდენიმე ათწლეულია.სირთულის პირველ ნიშანს წარმოადგენს ცნების ჩამოყალიბება,პრობლემა მდგომარეობს იმასში,რომ მას აქვს მრავალფეროვანი გამოვლინება.ცნების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი პირობაა ორგანიზებული დანაშაულის სათანადო დონეზე ახსნა და მასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის მოპოვება.რაც შეეხება სიტყვა ორგანიზებას ის წარმოიშვა ბერძნული ენისგან რაც ნიშნავს ინსტრუმენტს,იარაღს.

ორგანიზებული დანაშაულობა რთული სოციალური მოვლენაა და ამ ფენომენის სწორად განმარტებისთვის მრავალმხრივი მიდგომაა საჭიროა,ადამიანთა ჯგუფური ქცევისათვის დამახასიათებელი ზოგადი კანონზომიერების გათვალისწინებით.იმისთვის,რომ უკეთესად გავარკვიოთ ორგანიზებული დანაშაულობის მნიშვნელობა,აუცილებელია მისი ისტორიის და ძირითადი შემადგენლობის გაანალიზება.

სისხლის სამართლის ბევრი სპეციალისტი თვლის,რომ არაა აუცილებელი ორგანიზებული დანაშაულობის სპეციალური დეფინიციის შექმნა და სისხლის სამართლის კოდექსში განსაკუთრებული ნორმების კონსტუირება,რომელიც გაითვალისწინებს ასეთ საქმიანობაზე პასუხისმგებლობისას.ორგანიზებული ფორმირების ლიდერებს,საზოგადოებაში მათ სავსებით რესპექტაბელური მდგომარეობა უკავიათ.ორგანიზებული დანაშაულობის ადგილისა და მისი როლის არსებული შეფასებები თანამედროვე სახელმწიფოში წინააღმდეგობრივია,ამ მოვლენის გაგება დამოკიდებულია მოსახლეობის მზადყოფნაზე,ობიექტურად შეიცნონ მასში მიმდინარე პროცესები

ზედმეტი დრამატიზებისა და ვულგარული გამარტივების გარეშე.ორგანიზებული დანაშაულობა ეს არის ანტისაზოგადოებრივი ფორმირების მდგრადი სისტემა,რომელიც თავისი ფართომასშტაბიანი დანაშაულებრივი საქმიანობით ხელოვნურად ქმნის უფრო მეტად ხელსაყრელ პირობებს კანონსაწინააღმდეგო ბიზნესითვის,როგორც დანაშაულებრივი აქტოვობის მომსახურე მმართველობითი და სხვა ფუნქციების მქონე საკუთარი სტრუქტურების მეშვეობით,ასევე სახელმწიფო სტრუქტურების და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მეშვეობით,ასეთი სისტემა არის დანაშაულებრივი კონსოლიდაციისა და დანაშაულებრივი ორგანიზაციის თვისებრივად ახალი მოდელი,რომელიც მუდმივად განიცდის სახეცვლილებას და სრულყოფას.თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულობა არ კმაყოფილდება დანაშაულებრივი კლანებისათვის ტრადიციული საქმიანოთ,აქტიურად ერევა პოლიტიკაში,სახელმწიფო მმართველობაში.

დანაშაულებრივი მიზნების მისაღწერად ორგანიზებულ ჯგუფებს შეუძლიათ გამოიყენონ ძალადობა ან ძალადობის მუქარა,რომელიც გამოიხატება მკვლელობაში,სხეულის დაზიანების მიყენებაში,ცემაში,გატაცებებში და სხვა.

ორგანზიებული დანაშაულობა საქართველოში შეიძლება დაიყოს სისხლისსამართლებრივ და განგსტერულ დანაშაულობად,რომელიც ვლინდება ქურდობით, ძარცვით, ყაჩაღობით, გამომძალველობით, თაღლითობით, ბანდიტიზმით,მკვლელობითა და სხვა ანალოგიური ქმედებებით.ეკონომიკურ ან სახელმწიფო მოხელეთა დანაშაულობად,რომლებიც ბოროტად იყენებენ თავიანთ სამსახურეობრივ მდგომარეობას,ჩაფლულნი არიან კორუფციაში,სხვა ანგარებით-თანამდებობრივ საქმიანობაში,იტაცებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საკუთრებას.ეთნო-კრიმინალურ დანაშაულობად,რომელიც გულისხმობს ერთი ეთნიკური ჯგუფის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დომინირებას

კონკრეტული რეგიონის სხვა მოქალაქეებზე ძალადობისა და დაშინების მეშვეობით.

საქართველოში ორგანიზებული დანაშაულობა წარმოადგენს საზოგადოებრივ განუყოფელ ნაწილს და მისი ურთიერთქმედება ყველა სხვა ნაწილთან მრავალასპექტიანია.

ორგანიზებული დანაშაულობის თითოეულ ნაირსახეობას გააჩნია მიზეზებისა და პირობების ერთობლიობა.

საბჭოთა ხელისუფლების დროს,როდესაც ხდებოდა მეურნეობისა და ასმინისტრაციულ მეთოდებს შორის წინააღმდეგობრიობა,ერთადერთი მისი გადაჭრის გზა იყო ორგანიზებული დანაშაულობა.არალეგალურმა სამეურნეო საქმიანობამ ორგანიზებულ დანაშაულობას ხელი შეუწყო,რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.დანაშაულობის რიცხვმა საგრძნობლად იმატა მრავლად იყო ყაჩაღური თავდასხმები.90-იანი წლების დასაწყისში ორგანიზებული დანაშაულობის ზრდას ხელს უწყობდა საკონტროლო სარევიზო საქმიანობის რღვევა.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში მრავალი გამოკვლევა ჩატარდა დანაშაულებრივი ორგანზიებული ჯგუფის საკვალიფიკაციო ნიშნების შესახებ და ჩამოყალიბდა ცალკეული სახეები.

რაც შეეხება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ქვეყნებს,სახელმწიფოებში შეიმჩნევა ორგანიზებული დანაშაულობის საკმაოდ რთული იერარქია,რომელიც დაფუძნებულია საქმოსნების,კორუმპირებული ჩინოვნიკების და პროფესიული კრიმინალური ტრადიეციების მიმდევარი „კანონიერი ქურდების“ ურთიერთსაქმიანობაზე.დანაშაულებრივი მიზნების მისაღწევად დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფებს შეუძლიათ გამოიყენონ ძალადობა ან ძალადობის მუქარა.

კრიმინოლოგიური ლიტერატურის მიხედვით ორგანიზებული დანაშაულობის დროს ხდება ადამიანთა ჯგუფის შექმნა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობვაში ერთად ყოფნის სურვილით და მთავარი მიზანი არის კრიმინალური საქმიანობა,ასეთ ჯგუფებში ადამიანები გაწევრიანებულნი არიან სიცოხლის მანძილზე.ჯგუფის შიგნით არის მაღალი ორგანიზებულობა და არის წინასწარ კარგად დაგეგმილი დანაშაულები,დანაშაულის ჩადენის დროს საქმიანობა გონივრულად არის განაწილებული ჯგუფის წევრებს შორის.ხშირია საჭირო საქმიანობის განსახორციელებლად არალეგალური კონტაქტების გამოყენება.დანაშაულის ჩადენის დროს გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები,ხშირიია თვითმხილველზე ზემოქმედება,იურისტების მიერ ჯგუფის წევვრების დაცვა.

ქართული კრიმინოლოგიური ლიტერატურის მიხედვით ორგანიზებული დანაშაულობა შეგვიძლია მივიჩნიოთ ანტისაზოგადოებრივ ფართომაშტაბიან სისტემად,რომელიც ხელოვნურად ქმნის კანონსაწინააღმდეგო ბიზნესისთვის ხელსაყრელ პირობებს,როგორც დანაშაულების მართველობითი და სხვა ფუნქციების მქონე ასევე სახელმწიფო სტრუქტურების და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მეშვეობით.

დამნაშავეთა ორგანიზებული ფორმირების რამდენიმე ტიპი არსებობს.არსებობს დანაშაულის ჩადენა სპონტანურად,წინასწარი შეთანხმების გარეშე.არსებობს არამდგრადი ჯგუფები,რომლებიც დანაშაულის ჩადენენაზე შეთანხმდებიან და ეს ჯგუფი დანაშაულის ჩადენის შემდეგ იშლება.არსებობენ ორგანიზებული ჯგუფები,რომლებიც წინასწარ გეგმავენ დანაშაულობას და ასევე ხასიათდებიან მუდმივი დანაშაულებრივ საქმიანობაზე შეთანხმებით.

ა.ი.გუროვის აზრით ორგანიზებული დანაშაულობის სხვადასხვა დონე არსებობს.ჩვეულებრივი ორგანიზებული ჯგუფები მიეკუთნებიან პირველ

დონეს,ხოლო ასეთივე ჯგუფები კორუმპირებული კავშირებით წარმოადგენენ მეორე დონეს,ხოლე მესამე დონეზე არიან ის ორგანიზაციები,რომლებიც აკონტროლებენ უფრო წვრილ ჯგუფებს,არეგულირებენ ნარკო ბიზნესსა და პროსტიტუციას.

თანამედროვე ორგანიზებულ დანაშაულობაში არსებობენ და ურთიერთქმედებენ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფები,ბანდები და კრიმინალური კავშირები.

საქართველოში ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობიდან გავრცელებულ სახეს წარმოადგენს უბრალო ორგანიზებული ჯგუფები.მათმა სტრუქტურამ,ზომებმა და საქმიანობის მიმართულებამ შეიძლება არსებითი ცვლილებები განიცადოს.

ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის მოცულობის,შიდა სტრუქტურის მიხედვით,ძირითად ფუნქციურ წარმონაქმნს წარმოადგენს კრიმინალური საზოგადოება,ჯგუფებში გაერთიანებული პირებისგან შედგენელი,რომლებიც დანაშაულებრივი შემოსავლების მიღების შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობენ დამნაშავეთა ორგანიზებული საქმიანობის რეალიზაციაში.

დამნაშავე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნას გააჩნია რამდენიმე წინაპირობა ერთ-ერთი ეს არის ნდობის საფუძველი.კრიმინალური ურთიერთობისთვის დამნაშავე პირებს შორის აუცილებელია ურთიერთ ნდობის ფაქტორი.ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის და კრიმინალური ქსელის გამიჯვნის დროს მნიშვნელობა ენიჭება კრიმინალური ჯგუფების სტრუქტურის ანალიზს.

დამნაშავეთა ორგანიზებული ფორმირებები იქმნება რამდენიმე გზით,ესენია:სტიუაციურძალისმიერი,ფუნქციურსახელშეკრულებო,ფორმა ლურ-წარმოებით.

ორგანიზებული დანაშაულობა გამოირჩევა საქმიანობის სხვადასხვა სახით.საქართველოში ორგანიზებილი დანაშაულობის შემდეგი კლასიფილაცია არსებობს.პირველი ეს არის შემთხვევითი ჯგუფი,რომელშიც შედის ქურდობა,ძარცვა,სხვადასხვა სიმძიმის და ხარისხის ძალადობრივი დანაშაულები.შემდეგი ეს არის პირველი რიგის ორგანიზებული ჯგუფი,რომელშიც შედის წინასწარ განზრახული ანგარებითი და ძალადობრივი დანაშაული.მეორე რიგს ასევე მიეკუთვნება წინასწარ განზრახული ძალადობრივი და ანგარებითი დანაშაულები.მესამე რიგის ორგანიზებული ჯგუფი შედგება სახელმწიფო და კომერციულ ობიექტებზე თავდასხმების მოწყობით,კვალიფიცირებული ბანდიტიზმის რეკეტით ადამიანის გატაცებით.შემდეგი ეს არის სახელმწიფო საკუთრების დატაცება,ნარკობიზნესზე და პროსტიტუციაზე კონტროლში მონაწილეობა.ჩადენილი განსაკუთრებულად მსხვილი მაშტაბის ქმედებები ეკონომიკურ სფეროში,საბანკო-საფინანსო გაფლანგვებინ და მითვისებები.დანაშაულის ჩადენა წარმოების სფეროში,ასევე იძულებითი ზეწოლის მოხდენის პოლიტიკური ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით ტერორი შეკვეთილი მკვლელობები,შანტაჟი.აქედან მხოლოდ რამდენიმე მიეკუთვნება ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებას,რომლებსაც გააჩნიათ კრიმინალური საზოგადოების სტრუქტურა.კრიმინალური საზოგადოების მეთაურები ახორციელებენ საერთო ხელმძღვანელობას და თავისი თანაშემწეების მეშვეობით მეთაურობენ ცალკეულ სტრუქტურებს.

რაც შეეხება ქართულ კრიმინოლოგიურ ლიტერატურას,ორგანიზებული დანაშაული არის ანტისახელმწიფოებრივი მდგრადი სისტემა,რომელიც თავისი ფართომასშტაბიანი დანაშაულებრივი საქმინობით ხელოვნურად ქმნის უფრო მეტად ხელსაყრელ პირობებს კანონსაწინააღმდეგო ბიზნესისთვის,როგორც დანაშაულებრივი აქტივობის მომსახურე მმართველობითი და სხვა ფუნქციების მქონე საკუთარი

სტრუქტურის მეშვეობით,ასევე სახელმწიფო სტრუქტურების და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მეშვეობით.

ორგანიზებული დანაშაულები ერთმანეთისგან შეიძლება გაიმიჯნოს სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით.არსებობს მისი ფორმების მიხედვით დაყოფა,ესენია პოლიტიკური,ეკონომიკური და საერთო-სისხლისსამართლებრივი.

ყველაზე მეტად ორგანიზებული დანაშაულიდან გავრცელებულია ნარკოტიკებით ვაჭრობა,საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით სახელმწიფო საზღვარზე საქონლის გადატანა,ყალბი ფულის დამზადება,პროსტიტუციაზე კონტროლი,თაღლითობა,ტრეფიკინგი,იარაღის უკანონო გაყიდვა,დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრების გათეთრება,ადამიანის ორგანოებით უკანონო ვაჭრობა.

ორგანიზებულ დანაშაულს ზიანი მოაქვს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის.იძულებით,გამოძალვით,დაშინებით,ფიზიკური ანგარიშწორებით,ნარკოტიკების შემოტანით,ოფიციალური პირების მოკრთამვით,ახალგაზრდების დანაშაულებრივ საქმეში ჩაბმით და სხვა უკანონო ქმედებებით,ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ზრდიან ძალადობას და მნიშვნელოვნად აუარესებენ კრიმინოგენურ მდგომარეობას საზოგადოებაში.სიღარიბე მნიშვნელოვნად ქმნის დანაშაულისთვის ნიადაგს,ასევე იმ პირებში,რომლებმაც ვერ შეძლეს ადაპტირება ახალ ეკონომიკურ პირობებში,გამოიწვია არსებობის კრიმინალური ხერხისადმი განწყობის გავრცელება.ორგანიზებულ დანაშაულზე ძლიერ კრიმინოგენურ გავლენას ახდენს სუსტი სახელმწიფო ხელისუფლება,მოსახლეობის მრავალეროვნული შემადგენლობა და განათლების დონე,ისტორიულად ჩამოყალიბებული დანაშაულებრივი ტრადიციების არსებობა,მწვავე სოციალური,რელიგიური და ეთნიკური წინააღმდეგობები.

ორგანიზებული დანაშაულის ხელშემწყობი ფაქტორებიდან აღსანიშანია საკანონმდებლო შეზღუდვები.ორგანიზებული დანაშაულის გავრცელებას ხელი შეუწყო „მშრალმა კანონმა“ აშშ-ში,რომელიც კრძალავდა ალკოჰოლური სასმელების წარმოებასა და გაყიდვას,რამაც გამოიწვია მისი არალეგალური წარმოება,სხვა ქვეყნიდან არალეგალური შემოტანა,ფალსიფიცირებული სასმელის გაყიდვა,ანუ ისეთი დანაშაულებრივი საქმიანობები,რომლებიც კარგ ორგანიზებას მოითხოვდა.

პროფესიული დანაშაულობა თავის მხრივ კავშირშია ორგანიზებულ დანაშაულობასთან,ორგანიზებული დანაშაულობა კი არის დანაშაულობის ერთ-ერთი რთული და საშიში სახე,ის ხელყოფს საზოგადოების ეკონომიკურ,პოლიტიკუ,სამართლებრივ სფეროებს.ორგანიზებულ დანაშაულობას აქვს სამი სხვადასხვა ნიშანი.პირველი ეს არის გაერთიანებული პირების არსებობა დანაშაულთა სისტემატიური ჩადენისთვის,მეორე ნიშანი ეს არის ეკონომიკური მხარე,კანონის დარღვევა სწორედ,რომ მიზნად ისახავს გამდიდრებას და კაპიტალის დაგროვებას.მესამე ეს არის კორუფცია,ანუ თანამდებობის პირთა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეთა მოსყიდვას.

ორგანიზებული დანაშაულობა მოიცავს ჯგუფური ხასიათის დანაშაულებრივ გამოვლინებას,ჯგუფის უნარია დამოუკიდებლად მოახდინოს მიზნის განხორციელება და საქმიანობის განაწილება წევრებს შორის.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში განსხვავებულია რამდენიმე ორგანიზაციული ფორმა,ეს არის ორგანიზებული ჯგუფი,დანაშაულებრივი ორგანიზაცია და დანაშაულებრივი გაერთიანება.

ორგანიზებული დანაშაულობა არსებობს ეკონომიკური,პოლიტიკური,საერთო სისხლის სამართლებრივი.საერთო სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩამდენი ჯგუფი იყენებს მუქარას,შანტაჟს,ძალადობას.არსებობს სუსტად,საშუალოდ და მაღალ

დონეზე ორგანიზებული ჯგუფები.ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს ყავთ ლიდერი,რომელიც განსაზღვრავს,გეგმავს და ორგანიზებას უკეთებს მას.ასევე არსებობს ორგანიზებული დანაშაულოს ლოკალური,რეგიონალური,რეგიონთაშორისი და საერთაშორისო ფორმირებები.მონაწილეთა რაოდენობის მხრივ ორგანიზებული ფორმირებები შეიძლება იყოს მცირე,საშუალო და მრავალ რიცხოვანი,

დანაშაულობის ზრდის თავიდან აცილებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კორუფციასთან ბრძოლას თანამდებობის პირთა დაცვის კონტროლის ამაღლებას დაზარალებულთა,მოწმეთა და სხვა პირთა დაცვის სახელმწიფო სისტემის შექმნას.ასევე წამყვანი როლი ეკუთვის სისხლის სამართლის საპროცესო საორგანიზაციო და სასჯელაღსრულებით ღონისძიებებს.ორგანიზებული დანაშაულობის მიზანზე საუბრისას აღინიშნება ორიენტირება მაქსიმალურად დიდ მოგებაზე და სისმდიდრის მოხვეჭაზე.იმისათვის,რომ ორგანიზებულ დანაშაულობაზე შეგვექმნას ღრმა წარმოდგენა,განვიხილოთ მისი ნიშნები.ორგანიზებულ დანაშაულობაში ჩართვის მთავარ მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობის შესუსტება.მეორე ნიშანი არ ჩამოუვარდება დანარჩენებს მნიშვნელობით,დაჯგუფებას გააჩნია ხელმძღვანელი,რომელსაც ემორჩილება.თითოეულ საფეხურზე მდგომ წევრს გააჩნია თავისი ფუნქცია.იმ ლიდერებს,რომლებიც იღუპებიან ან გარკვეული მიზეზების გამო ვეღარ ახერხებენ თავიანთი საქმიანობის გაგრძელებას,ანაცვლებენ სხვა წევრები და ესეც წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთ ნიშანს.ორგანიზებული დანაშულობის წევრები ძალადობას ან ძალადობის მუქარას იყენებენ იმისთვის,რომ სხვებმა შეასრულონ მათი მითითებები.ორგანიზებული დანაშაულობით მოპოვებული შემოსავლის ლეგალურად ქცევის მრავალი გზა არსებობს,ფულის გასათეთრებლად გამოიყენება უამრავი უკანონო ქმედება .იმის მიუხედავად,რომ კანონით აკრძალულია ესა თუ ის უკანონო მომსახურება,მომხმარებელი მაინც ვერ ამბობს უარს მასზე.ორგანიზებული

დანაშაულობის სფერო ფართოა და მრავალფეროვანი.მიუხედავად იმისა,რომ ქმედება,მეთოდი განსხვავებულია,ძირითადი მიზანი მაინც უცვლელია,ეს არის დიდი რაოდენობით შემოსავლის მიღება.ძალიან რთულია დანაშაულებრივი საქმინობის აღმოფხვრა,როდესაც სახელმწიფო ამის საშუალებას აძლევს მის იურისდიქციაში მყოფ ორგანოებს,ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია დაბალი ეკონომიკური დონე,რაც რა თქმა უნდა,აიძულებს ადამიანს ოჯახის წევრების სარჩენად ჩაერთოს დანაშაულებრივ საქმიანობაში.მოსახლეობა აღარ ცდილობს ასეთი ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში მიმართოს სამართალდამცავ ორგანოს,როდესაც მათ ადგებათ ზიანი დანაშაულებრივი ორგანიზაციების საქმიანობით,რადგან კორუმპირებული ოფიციალური მოხელეების არსებობა ხელს უწყობს დანაშაულებრივი ბიზნესის განვითარებას და ამაში სახელმწიფოს უმოქმედობა დიდი დოზითაა,საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ,რომ ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების ძირითად პირობას წარმოადგენს ხალხის მოთხოვნა უკანონო საქონელზე და მომსახურეობაზე.

ამ სფეროსთან დაკავშირებული ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლა,რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით ცალ-ცალკე ქვეყნის მიერ გატარებული ღონისძიებები საკმარისი არ აღმოჩნდა მის აღმოსაფხვრელად.ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში აქტიურადაა ჩართული გაერთიანებული ერების ორგანიზაციაც,საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით განსაკუთრებულ როლს ასრულებს-ინტერპოლი,მას მონაცემთა დიდი ბაზა გააჩნია და ორგანიზებულ დანაშაულობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიების,დამუშავების,პროცესების ანალიზის ძირითადი ორგანოა.ყველაფრის მიუხედავად ორგანიზებული დანაშაულობის ფენომენი არასაკმარისადაა შესწავლილი.

ორგანიზებული დანაშაულის და მათ შორის კანონიერი ქურდების ადათ-წესები და საქმინობის მეთოდები წინააღმდეგობაში მოდის დემოკრატიული სახელმწიფოს წყობილებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან.მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ორგანიზებული დანაშაულებრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ყველაზე განხორციელებული ქმედებები და მათ მიერ წახალისებული დანაშაულები.პირველი ეს არის ნარკოდანაშაული,რომელიც ყველაზე დამახასიათებელია რამდენიმე მიზეზის გამო,რადგან მისგან მოგება დიდია და ის მოითხოვს კარგად ორგანიზებას.მეორე ეს არის ტრეფიკინგი,კორუფცია,მართლმსაჯულების თავიდან აცილებისთვის ხშირად იყენებენ ძალაუფლების მქონე პირთა მოქრთამვას და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული,მათ შორის პირდაპირი კავშირი არსებობს.მისი ტრადიციების მიმდევარი ხშირად მიმართავს ქურდობას,ძარცვას,ყაჩაღობას და სხვა არაკანონიერ ქმედებას.ფულის გათეთრება უკაკონო გზებით მიღებული შემოსავლების დასამალად და შემდგომი რეალიზებისათვის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ჩვეულებრივ იყენებენ სხვადასხვა არალეგალურ ფინანსურ მაქინაციებს და ერთ-ერთი არის დანაშაულებრივი ქმედებები,თავიანთი სასურველი მიზნების მისაღწევად ორგანიზებული დანაშაულის წევრების მხრიდან ჩვეული პრაქტიკაა კონკურენტების,სახელმწიფოს თუ საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი და არაძალადობრივი აქტები,მათ შორის: შეკვეთილი მკვლელობა,ადამიანისგატაცება,გაუპატიურება,გამოძალვა,ყაჩაღობა, პროსტიტუცია,ძარცვა,ქურდობა,მექრთამეობა,ცეცხლისწაკიდება,ტრეფიკინგი,კონტრაბანდა,თაღლითობა,გაყალბება,უკანონო აზარტული თამაშები, ნარკოდანაშაულები,მითვისება,მართლმსაჯულებისთვისხელის შეშლა,რეკეტი და სხვა.

2. პროფესიულიული დანაშაულობის მახასიათებლები

პროფესიული დანაშაულობა შედგება დანაშაულთა ერთობლიობისგან,მაგრამ ის წარმოადგენს დამოუკიდებელ სახეობას.პროფესიულ დანაშაულობას სჩადიან პროფესიული დამნაშავეები,რომლებსაც გააჩნიათ სპეციალური ცოდნა და გამოცდილება.

პროფესიული დანაშაულობის რამდენიმე ნიშანი არსებობს,რომლებიც ძირითადად არასდროს იცვლება.ესენია ხელობა,როგორც მუდმივი ხასიათის მქონე დანაშაულებრივი ქმედება,დანაშაულის ჩადენის დროს საქმის გადანაწილება ჯგუფის წევრებს შორის,ამ დანაშაულის ჩასადენად აუცილებელია გარკვეული ცოდნის არსებობა და ასევე ჩვევების გამომუშავება,ყველაზე ხშირ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის მიზანს წარმოადგენს საარსებო წყაროს მოძიება.პროფესიული დანაშაულობის განსხვავება ცალსახაა სხვა მარლთსაწინააღმდეგო ქმედებებისგან,რადგან სწორედ ასეთი დანაშაულობის დროს გამომუშავდება პრაქტიკული ჩვევები,რომელიც არის გარანტი სასურველი შედეგის მიღწევის.დამნაშავედ ჩამოყალიბება მიზანმიმართულ სახეს იძენს.

დამნაშავე,რომელიც სჩადის პროფესიულ დანაშაულობას,ინტერესდება არა მხოლოდ იმ ხერხებით,რომლითაც ჩაიდინა დანაშაული,არამედ იმით თუ რა შეცდომას უშვებენ დანაშაულის ჩადენის დროს,რამ მიიყვანა მხილებამდე.პროფესიული დანაშაულობის დროს ხშირია შემთხვევები,როდესაც ხდება შრომის მკაფიო განაწილება სხვადასხვა

სპეციფიკის დამნაშავეებზე.დანაშაულის ჩადენის დროს ყველა დამნაშავე მისდევს პირველად არჩეულ სპეციალიზაციას და უმთავრესად არ ღალატობენ შერჩეულს,რადგან ყველაფერი ამის შეცვლა მოითხოვს დიდი გამოცდილებას და ახალ ჩვევებს,რომლის გამომუშავებას ასევე პრაქტიკები და დიდი დრო სჭირდება.

2.1.**დანაშაულებრივი ხელობა-დანაშაულებრივი საქმიანობის მუდმივი ხასიათი**

დანაშულობა ეს არის ადამიანის სოციალური ქცევის ფორმა,რომელიც ხელს უშლის საზოგადოებრივი ორგანიზმის ფუნქციონირებას.დანაშულობის ციფრი მიიღება საზოგადებაში მოცემული დროის პერიოდში ჩადენილი დანაშაულის ჯამით.დანაშაულობას გააჩნია კანონზომიერება,წინააღმდეგობრიობა და სხვა სოციალურ მოვლენებთან კავშირი.

დანაშაულებრივი ქმედების მეცნიერული ახსნა-განმარტება გულისხმობს თეორიული საფუძვლის წარმოქმნის და ამ თეორიის გამოყენების ერთგავრ პროცესს, რაც შეეხება, თეორიებს მათ კრიმინოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ, ისინი წარმოადგენენ სინამდვილის აზრობრივ კონსტრუქციას. ისინი იმ სამყაროს შესახებ გვაწვიდან განმარტებით ინფორმაცია, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. თეორიის საშუალებით მეცნიერები ცდილობენ ჩვენს მიერ აღქმული მოვლენების დალაგებას, თუ როგორ და რატომ ხდება ესა თუ ის მოვლენა. მით უფრო კარგია თეორია, რაც უფრო ზუსტად გამოხატავს იგი სინამდვილეს.

კრიმინოლოგიური თეორიები ოთხ სხდასხვა საკითხს ეხება, დანაშაული, დამნაშავე, დანაშაულის კონტროლი და დანაშაულის მსხვერპლი. კრიმინალური ქცევა ქცევებს შორის ერთერთია ამიტომ

კრიმინოლოგიური თეორია პირველ რიგში ქმედების კარგი ახსნა-განამარტების თეორია უნდა იყოს. აუცილებელია ისეთი სპეციფიური თეორიების შექმნა, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედების ახსნა-განმარტებას მოემსახურება.

ადამიანის ქცევის განვითარებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი, როგორც ინდივიდის მიერ მიღებული გამოცდილება და განათლების დონე.

დანაშაულობის შედეგი იწვევს სამართლებრივ რეაქციას,რომელიც დაკავშირებულია ადამიანის პასუხისმგებლობასთან.დანაშაულობა თავისი არსით არის ნეგატიური მოვლენა,რომელსაც ზიანი მოაქვს საზოგადიებისა და მისი კონკრეტული წევრებისთვის.

დანაშაული განსხვავდება მასში შემავალი ცალკეული სახეებით,სიმძიმით და ტერიტორიით,ასევე დანაშაულის ჩამდენ პირთა დახასიათებით.დანაშაულობასთან ბრძოლა მოიცავს დანაშაულობის მიზეზების გაანალიზებას,ხელშემწყობი პირობების შესწავლასა მისი თავიდან აცილების გონივრული ხერხების შემუშავებას.

დანაშაულობა მოვლენაა,რომელიც ნიშანდობლივია ნებისმიერი საზოგადოებისათვის,მისი ძირითადი კანონზომიერებანი ერთია ყველა სოციალური სისტემისათვის,მაგრამ არსებობს განსხვავებაც.

დანაშაულობა,არის ადამიანის სოციალური ქცევის ფორმა,რომელიც ხელს უშლის საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნორმალურ ფუნქციონირებას.დანაშაულობა უარყოფითი სოციალურ-სამართლებრივი მოვლენაა.იგი არსებობს საზოგადოებაში,გააჩნია კანონზომიერებანი და ხასიათდება რაოდენობრივი მაჩვენებლით,მოითხოვს საზოგადოებისა და სახელმწიფოს კონტროლს.

დანაშაულობა არის სოციალურ-სამართლებრივი მოვლენა,რასგან დანაშაულობის მასა გამოითვლება მოცემულ საზოგადოებაში და მოცემულ დროის მონაკვეთში ჩადენილი დანაშაულობის ჯამით.

დანაშაულობა არის სოცოალური მოვლენა,რადგან იწვევს საზოგადოების და სახელმწიფოს რეაქციას,დაკავშირებულს ადამიანის პასუხისმგებლობასთან.აღსანიშნავია,რომ კონკრეტულ დანაშაულთა თანაფარდობა იწვევს ზოგადისა და ცალკეულის თანაფარდობას.

დანაშაულის წარმოშობა დაკავშირებულია სახელმწიფოს და სამართლის წარმოშობასთამ,ადამიანთა საზოგადოებრივ,სოციალურ და კლასობრივ ფენებად დაყოფასთან.

დანაშაულობას გააჩნია რამდენიმე ძირითადი ნიშანი,რომლის მიხედვითაც დანაშაულობა მასობრივი მოვლენაა,ის ისტორიულად ცვალებადია,ის დამახასიათებელია კლასობრივი საზოგადოებისათვის,არის სოციალური და სისხლისსამართლებრივი მოვლენა.

დანაშაულობა ხელყოფს საზოგადოების ინტერესებს.რაოდენობრივად დანაშაულობა ხასიათდება განსაზღვრულ ტერიტორიაზე დროის გარკვეულ მონაკვეთში ჩადენილი დანაშაულთა ერთობლიობით.დანაშაულობის სტრუქტურის ანალიზისას მნიშვნელობა ენიჭება ისეთ გარემოებებს,როგორიცაა დანაშაულის ობიექტის თავისებურებანი,ბრალის ფორმები,მოტივი,დრო,ადგილი,დანაშაულის ჩადენის ხერხი.დანაშაულობის დინამიკა მოიცავს დანაშაულობის მდგომარეობასა და სტრუქტურას მოძრაობაში,ახასიათებს ცვლილებას დროის გარკვეულ პერიოდში.დანაშაულობის შესწავლისას კრიმინოლოგია იყენებს ორ ხერხს,ეს არის სტატისტიკური მასალების შესწავლა და შერჩვეითი ანკეტური გამოკვლევა.

დანაშაულობა თავისი გამოვლინებით მრავალგვარია.განასხვავებენ დანაშაულს როგორც მასში შემავალი ცალკეული ელემენტებით,სიმძიმის

ტერიტორიულობის ჩამდენი პირთა და სხვა პარამეტრებით.ყოველივე ეს საზოგადოებას უქარწყლებს დანაშაულთან ბრძოლის მარტივ მეთოდებზე ილუზიას და მოუწოდებს საზოგადოებას დანაშაულთან გეგმაზომიერი მოქმედებისკენ.

დანაშაულის რაოდენობა განისაზღვრება განსაზღვრულ დროში განსაზღვრულ ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულობების მთელი ერთობლიოით.რაოდენობრივად დანაშაულის დახასიათება არის ყველაზე ზოგადი ფორმა,მასზე უფრო ზუსტ წარმოდგენას გვაძლევს დანაშაულის სტრუქტურა და დინამიკა,თვისობრივი დახასიათება.

არსებობს მრავალი კვლევა იმის შესახებ,რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დონემ წლების განმავლობაში საგრძნობლად მოიმატა.ეს კი იმით არის განპირობებული,რომ დანაშაულის საერთო რაოდენობა სისტემატიურად იზრდება და ძნელად ექვემდებარება პრევენციას.

პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული საშიშია არამხოლოდ მისი გავრცელების გამო,არამედ იმითაც,რომ ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია უფრო მძიმე დანაშაულთან.მრავალფეროვანია ქურდობის ჩადენის ხერხები,რომლის შერჩევაც განპირობებულია მრავალი ფაქტორით.ამ დანაშაულის ჩადენის წინაპირობაა მისი დაწვრილებით მომზადება,რაც გამოიხატება ხელყოფის ობიექტებისა და თანამზრახველების მოძებნით,მდგომარეობის შესწავლით.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში დიდი როლი უჭირავს სოციალურ-ეკონომიკურ,სოციალურ-პოლიტიკურ,სოციალურ-ფსიქოლოგიურ ცვლილებებს,სწორედ მან გამოიწვია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის,კერძოდ,ორგანიზებული დანაშაულის გაზრდა.ცხოვრებისეული დონის შემცირებამ გამოიწვია იმ პირთა რაოდენობის ზრდა ვინც სჩადის საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.ეკონომიკაში კრიზისული მოვლენები ხელოს უწყობენ

კრიმინოგენურ პოტენციალს.საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის პრევენცია სამართალდამცავი ორგანოების და შინაგან საქმეთა სამინისტროს ამოცანაა.

2.2.სპეციალიზაცია ერთგვაროვან დანაშაულთა ჩადენა, თავისებური ,,შრომის განაწილება“

კრიმინალური პროფესიონალიზმნს გააჩნია ოთხი ძირითადი ნიშანი,აქედან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არის სპეციალიზაცია,ანუ შრომის განაწილება დამნაშავეებზე.პროფესიულ დამნაშავეებად,ხშირად ითვლებიან,ის პირები,რომლებიც არ მუშაობენ,რადგან მათ არ აქვთ სხვა შემოსავლის წყარო და იძულებულები ხდებიან დანაშაულის ჩადენა გადააქციონ შემოსავლის წყაროდ.უამრავი დაკვირვება არბობს იმის შესახებ,რომ უმეტესად დანაშაულის დაფარვისთვის აუცილებელია პირი რაიმე სამუშაოზე ირიცხებოდეს,რადგან ეს უფრო გააქარწყლებს ეჭვს იმაზე,რომ დანაშაული სწორედ მან ჩაიდინა.დანაშაულის მრავალი სახეობის ჩადენას ხელს უწყობს პირის მუშაობა გარკვეულ სფეროში და გარკვეულ თანამდებობაზე,რადგან ხშირია შემთხვევები,როდესაც თანამდებობზე მომუშავე პირები სათავისოდ იყენებებ იმ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც მათ აქვთ.პროფესიულ დამნაშავეთა შორის არსებობს შრომის მკაფიო განაწილება დანაშაულის ჩამდენი პირების სხვადასხვა სახეობების მიხედვით,მაგალითად ქურდებზე,თაღლითებზე,გამომძალველებზე.ყველას აქვს მხოლოდ მასზე დაკისრებული ვალდებულება და წინასწარ დადგენილი გეგმის მიხედვით ხდება მისი შესრულება.ისინი მიზდევენ არჩეულ სპეციალიზაციას,რადგან

ახალზე გადასვლა მოითხოვს ახალ ჩვევებსა და გამოცდილებას,რომლის განვითარებას კი სჭირდება დრო,ენერგია და მონდომება.

2.3.კვალიფიკაცია-გარკვეულ ცოდნისა და ჩვევების არსებობა

პროფესიული დანაშაულებრივი საქმიანობა გამოუმუშავებს დამნაშავეს გარკვეულ ცოდნას,ჩვევებს,რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნის მიღწევას უმცირესი რისკით.კრიმინალური ცოდნისა და ჩვევების გამომუშავება ხდება სწავლების პროცესში,უშუალოდ ხელმძღვანელების მიერ,ასევე დაშვებული შეცდომების საფუძველზე.დამნაშავეები პროფესიულ ცოდნასა და ჩვევებს იძენენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.არსებობს მონაცემები იმის შესახებ,რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში დიდი რაოდენობით ახალგაზრდა დამნაშავეთა შესვლისას,სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი ჩვევების მიღება,სისხლის სამართლის კანონის შესწავლა.

ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის შესწავლისას ნათელი ხდება დანაშაულის ჩადენის არამარტო კონკრეტული ხერხის შესწავლის სურვილი,არამედ მთლიანად მოქმედების,რაც უზრუნველყოფს დანაშაულებრივ ქმედების წარმატებით განხორციელებას.ხშირ შემთხვევაში დამნაშავეები სარგებლობენ გამოცდილი სამართალმცოდნეების მომსახურებით.

დამნაშავეს აინტერესებს დანაშაულის ჩადენის ხერხები და ის შეცდომები,რომლებმაც ის გამოააშკარავა.პროფესიული დამნაშავეები

შესაბამის ცოდნას იღებენ სამოქალაქო ცხოვრებაში და ამას იყენებენ კრიმინალური მიზნების მისაღწევად.

დანაშაულობა არის მასობრივი მოვლენა,ბუნებრივი,რომელსაც ვერ გავექცევით,მაგრამ რა თქმა უნდა არის უარყოფითი.ადამიანები უხსოვარი დროიდან ებრძვიან დანაშაულობას,შესამუშავებელია გარკვეული ტენდენციები,რომლებიც აიძულებენ დამნაშავეებს დანაშაულის ჩადენას

2.4. **მუდმივი შემოსავალი-დანაშაული, როგორც არსებობის საშუალებათა წყარო**

საქვეყნოდ არის აღიარებული,რომ,პროფესიული დამნაშავეებისთვის დანაშაულის ჩადენა ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს შემოსავლის წყაროს,რომელიც ჩვეულებრივ მოქალაქეთა შემოსავალზე გაცილებით მეტია. პროფესიული დამნაშავეები მიღებული ცოდნით,განათლებით,გამოცდილებით ან თუნდაც არჩეული პროცესიით მუშაობას ამჯობინებენ შემოსავლის წყაროდ აქციონ დანაშაულის ჩადენა და მისგან მიიღონ ყველანაირი სარგებელი.ჩადენილი დანაშაულის შემდეგ კი დამნაშავეები ვალდებულნი არიან ყველა შემოსავლიდან გადაიხადონ გარკვეული ნაწილი და ეს ფული მიდის საერთო სალაროში.გადარიცხული ფულის უმეტესი ნაწილი ხმარდება ღონისძიებების დაფინანსებას,ხელმძღვანელების ხელფასებს,მოსყიდვებს.

უმრავლეს შემთხვევაში,დანაშაულის ჩადენის მიზეზი,რა თქმა უნდა, ფულადი სარგებლის მიღებაა,მათთვის გამარტივებულ გზას წარმოადგენს არსებობისთვის დანაშაულით მოპოვებული შემოსავალი,ვიდრე შრომის შედეგად გამომუშავებული.პროფესიული დამნაშავეები ამჯობინებენ მარტივად გამოიმუშავონ არსებობის თუნდაც მინიმუმი,დანაშაულის ჩადენის გზით,ვიდრე გაისარჯონ ზედმეტი შრომით.

3.კრიმინალური პროფესიონალიზმი- კლასიფიკაცია

რაც უფრო მაღალია კრიმინალური კვალიფიკაცია,მით უფრო ინტენსიურია დანაშაულებრივი საქმიანობა.

3.1სპეციალიზაცია დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით

დანაშაულის ჩადენის მიხედვით განასახვავებენ რამდენიმე სპეციალიზაცის.ერთ-ერთი ეს არის ქურდების კატეგორია,რომლებიც მუშაობენ ბაზრებსა და სავაჭრო ცენტრებში,მეორე კატეგორიაში შემავალი ქურდები თავიანთ საქმიანობას სჩადიან მეტროპოლიტენის სადგურებსა და მატარებლებში.შემდეგ კატეგორიაში შემავალი ქურდები დანაშაულისთვის ირჩევენ ტრანსპორტის ყველა სახეობას.არსებობენ ქურდები,რომელთათვისაც დანაშაულის ჩადენის ყველაზე ხელსაყრელ ადგილს წარმოადგენს მაღაზიები,არანაკლები პოპულარობით სარგებლობს დანაშაულის ჩადენა თეატრებში და ყველაზე გავრცელებული,იოლი ხერხია,დანაშაულის ჩადენა ქუჩაში,რაც რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული.ამ მიზეზებს შორის უმთავრესია,რომ შერჩეული ქუჩა იყოს სხვა ქუჩებისგან განსხვავებით შედარებით მოშორებით ადგილას,სადაც ნაკლებად მოძრაობს მოსახლეობა,ასეთ სიტუაციაში კი

დანაშაულის ჩადენა უფრო მარტივი გახდება,ასევე უფრო ხელსაყრელია დანაშაულის ჩადენა ღამის პერიოდში,რადგან მცირეა იმის შანსი,რომ დანაშაულის ჩამდენ პირს ვინმე შეამჩნევს,ან დაზარალებულის დასახმარებლად გამოჩნდებიან.

დამნაშავეები ჩვეულებრივ მისდევენ აღნიშნულ სპეციალიზაციას,მაგრამ გამორიცხული არ არის ერთი სპეციალიზაციიდან მეორეზე გადასვლა.

3.2სპეციალიზაცია დანაშაულის ჩადენის ხერხის მიხედვით

დანაშაულის ჩადენისას განსხვავებულია დამნაშავის მიერ არჩეული ხერხი.პირველი,ეს არის,სპეციალური ტექნიკური მოწყობილობებით ტანსაცმლის,ჩანთების და საფულეების გაქურდვა.ასევე არსებობს ქურდების კატეგორია,რომლებიც ცდილობენ ყურადღება გადაატანინონ გარშემო მყოფებს სხვადასხვა საგნებზე ხელის დადებით და შემდეგ ტექნიკურად მიაყოლონ ესა თუ ის ნივთი.შემდეგი კატეგორიის ქურდებს აქვთ სპეციალურად დამზადებული კაუჭი,რომლის მეშვეობით ჩანთებიდან და ჯიბეებიდან ახდენენ ფულისა და სხვადასხვა ნივთების დაუფლებას.ქურდების კატეგორია,რომლებიც განსაკუთრებით ძნელად მისადგომი საიდუმლო ადგილებიდან ახდენენ ფულისა და ძვირადღირებული ნივთების ამოღებას მოქმედებენ პინცეტით ან სხვა წვრილი იარაღით.შემდეგი კატეგორიის ქურდებში შედიან ისეთები რომლებიც დანაშაულს სჩადიან ჩანდების გაჭრის გზით,რისთვისაც იყენებენ სპეციალურად გალესილ მონეტებს.ასევე არსებობს ყრუ-მუნჯების მიერ ჩადენილი ქურდობა,რაც გამოიხატება დაზარალებულზე შემთხვევითი დაჯახების იმიტაციით,საგნის გაგდებინებაში და შემდეგ ზუსტი და სწრაფი მოძრაობით მის ფარულ დაუფლებაში.ბოლო

კატეგორია,ეს არის ქურდობა ჩანთებიდან ყველანაირი საშუალების გამოყენების გარეშე.ქურდებს ასევე ჰყავთ თანაშემწეები,რომელიც არის ორი სახის,პირველი ეს არის ქურდი,რომელიც იღებს დატაცებულს და მეორე ეს არის ქურდი,რომელსაც სხვაზე გადააქვს მსხვერპლის ყურადღება.რაც უფრო მაღალია კრიმინალური კვალიფიკაცია,მით უფრო ინტენსიურია დანაშაულებრივი საქმიანობა.ჯიბის ქურდების კვალიფიკაცია მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა მოკვლევის მაჩვენებლებთან,რაც უფრო მაღალია ქურდობის კვალიფიკაცია,მით უფრო დაბალია მოკვლევა.

ბინიდან ქურდობის ჩამდენთა ძირითად კრიმინალურ სპეციალიზაციებს მიეკუთვნებიან ისინი,ვინც ქურდობას სჩადიან სპეციალურად ქურდობისათვის განკუთვნილი ინსტრუმენტების გამოყენებით. არსებობენ ქურდები,რომლებიც ბინაში შედიან გასაღებების შერჩევის გზით, კარების გატეხვით ან გამომტვრევით, ფანჯრიდან ,აივნის გამოყენებით, ღია კარებიდან, ფანჯრიდან, სახურავიდან, ასევე ხშირია ბინაში სარემონტო-საექსპლუტაციო სამმართველოს მუშაკის სახელით ან შეწირულობის მოთხოვნით შეღწევა.ბინის ქურდების ტექნიკური მომზადება საკმაოდ მაღალია.ტექნიკური ხერხების შესწავლით დაინტერესებულნი არიან ქურდების გარკვეული ნაწილი, რომლებიც იყენებენ კვალიფიკაციური ტექნიკური მუშაკების კონსულტაციებს.

3.3. დამნაშავეთა კვალიფიკაცია

კრიმინალური საქმიანობის მიმართულებისდა მიხედვით პროფესიული ქურდების,გამომძალველების,მძარცველების,თაღლითებისა და სხვათა საქმიანობის დახასიათება შეგვიძლია დავიწყოთ პროფესიული

ქურდებით.ეს არის დამნაშავეთა ყველაზე მრავალრიცხოვანი კატეგორია და არსებობს მისი სხვადასხვა სახეობა.

პირველ სახეობაში შედის სეიფებიდან ფულის გამტაცებლები.მათ როგორც წესი მტკიცე კავშირი არ აქვთ სხვა კატეგორიებთან და არ სჩადიან სხვა სახის დანაშაულს უკიდურესი გაჭირვების დროსაც.ჯიბის ქურდების კვალიფიკაცია დანაშაულებრივი პროფესიის გამოხატულებად ითვლება,ისინი მიეკუთვნებიან მაღალკვალიფიციურ სისხლისსამართლებრივ დამნაშავეებს,გამოირჩევიან დანაშაულებრივი ქცევის სიმტკიცით.მისი ჩადენა ხდება ხალხთა თავშეყრის ადგილებში.ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სპეციალიზაციას მიეკუთვნება მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა ბინაში შეღწევით.ბინის ქურდების ტექნიკური მომზადება საკმაოდ მაღალია.არსებობენ ქურდები,რომლებიც ნივთებს იპარავენ სამრეწველო საქონლის მაღაზიებიდან,მათი კვალიფიკაცია განისაზღვრება დანაშაულის ჩადენის ხერხითა და მომზადებით.პროფესიული ქურდები მოქმედებენ ჯგუფურად სადაც როლები გადანაწილებულია დეტალების მიხედვით.შემდეგ სახეს მიეკუთვნება დანაშაულებრივი მოქმედება ავტომანქანის მოტაცების გზით.ამ დანაშაულის ჩადენის რამდენიმე კვალიფიკაცია არსებობს,უშუალოდ ავტომანქანის გამტაცებელი,პირი რომელიც დაკავებულია ავტომობილის ხელახალი მოწყობით,პირი,რომელიც აკეთებს ყალბ საბუთებს,გატაცებულის გამსაღებელი,მანქანის წამყვანი.არსებობენ ანტიკვარიატის დამტაცებლები მუზეუმებიდან,კერძო კოლექციებიდან,ეკლესიებიდან.სხვა კატეგორიებს მიეკუთვნებიან ქურდები,რომლებიც სპეციალიზებიან საფოსტო ან საბარგო ვაგონებიდან ტვირთის მოპარვაზე ან ქურდობენ დაზარალებულთა დათრობით ან დასაძინებელი ფხვნილის გამოყენებით,ქურდები,რომლებიც დანაშაულს სჩადიან პროფესიული დამნაშავეების დახმარებით,იპარავენ ძვირფასი ჯიშის კატებსა და ძაღლებს,იტაცებენ ნივთებს ხანძრის დროს და ქურდობენ დასაფლავების დროს.

არსებობს დამნაშავეთა სხვა კატეგორიებიც,რომელშიც შედიან ნაქურდალის შემსყიდველები და დამნაშავეთა დამფარავები.ნაქურდალის შემსყიდველებს ჰყავთ საქონლის სტაბილური მიმწოდებლები ან თვითონ არიან დატაცებათა ორგანიზატორები.

პროფესიულ დამნაშავეთა საკმაოდ გავრცელებული კატეგორიაა პროფესიონალი თაღლითები,რომელსაც ააქვს შემდეგი სპეციალიზაცია:თაღლითები,რომლებიც უგებენ მდიდარ მოქალაქეებს კაზინოში,ისინი არ თამაშობენ საზოგადოების თავშეყრის ადგილებში,რადგან ეს მათთვის დამამცირებელია და გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული,მაგრამ არსებობენ ისეთი თაღლითები,რომლებიც მოქალაქეებს ეთამაშებიან საზოგადოებრივ ადგილებში,თამაშობენ ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობებში,მატარებლებში და პლაჟზე.არსებობს ჯგუფი შემდგარი სპეციალისტებისგან,რომელთაც ევალებათ აზარტულ თამაშებში მოქალაქეთა ჩართვა, არსებობენ სპეციალისტები, რომლებიც თამაშის დროს ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენენ დაზარალებულებზე. შემდეგი სპეციალიზაციის მიხედვით არსებობს ისეთი თაღლითი, რომელიც იტყუებს ადამიანს თამაშში, რომელიც ატრიალებს ბურთულად, ვითომ და უცხო ადამიანი, რომელიც იძლევა რჩევას. თაღლითობის ერთ-ერთ სახეობას მიეკუთნება ნივთების ან ფულის შეცვლა, რომელიც გამომდინარეობს იმაში, რომ ფულის შეკვრაში ზემოთ და ქვემოთ ნამდვილი კუპიურებია, ხოლო მათ შორის ქაღალდი. რაც შეეხება ყველაზე კვალიფიციურ პროფესიულ თაღლითებს, ისინი მოქალაქეებს ატყუებენ ავტომობილების ან ბინების ყიდვა-გაყიდვის დროს, რომლებიც ყიდიან გაყალბებულ ლითონებს ან ანტიკვარიატს, რომლებიც აგროვებენ ფულს შეწირულობების სახით, ატყუებენ მოქალაქეებს მკითხაობით ან ექიმბაშობით, თაღლითები, რომლებიც თავს ასაღებენ მოსამართლეების ნაცნობებად და მოითხოვენ სისხლის სამართლის საქმის შესაწყვეტად გარკვეულ თანხას და ასევე თაღლითები, რომლებიც პოლიციის მუშაკების სახლით მოქმედებენ და ახდენენ ჩხრეკას.

სახელმწიფოსთვის დიდი ზიანის მიყენება შეუძლიათ ყალბი ფულის მკეთებლებს,რომლებიც იყენებენ ლაზერულ პრინტერებს ფერად ქსეროქსებს,ეს კატეგორია ხშირად აყალბებს უცხოურ ვალუტას,მათ შორის საქართველოშიც რამდენჯერმე იყო დაფიქსირებული ყალბი დოლარების შემოტანის ფაქტი.შემდეგი სპეციალიზაცია ეს არის ბრძოლის ადგილებიდან ომის დროს დაღუპულთა ჯილდოების, პირადი ნივთებისა და იარაღის ამოთხრა. ზოგიერთი ნადირობს ოქროს კბილებზე, ზოგიერთი თრის საფლავებს და იღებს იარაღს და ასევე იმას რაც საერთოდ საფლავში რჩება. პროფესიული მათხოვრებიც იყოფა რამდენიმე კატეგორიად, რომლებიც იღებენ მოწყალებას წერილობითი მიმართვის საფუძველზე, მათხოვრობენ ერთ ან რამდენიმე ბავშვთან ერთად, ამტკიცებენ, რომ დაზარალდნენ ხანძრის შედეგად, თხოულობენ ფულს სამგზავროდ, რომლებიც იყენებენ ორიგინალურ ხერხებსა და საშუალებებს და ბავშვები რომლებიც ითხოვენ მოწყალებას.

პროფესიულ დანაშაულობას აგრეთვე მიეკუთვნება მეძავეობა, რომლებიც საქმიანობას მეტად პროფესიულად ეწევიან, ძარცვავენ თავიანთ კლიენტებს, აავადებენ მათ, ითრევენ თავის გარემოში მცირეწლოვან გოგოებს. მათი დაყოფაც შეგვიძლია სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით: არასრულწლოვანი გოგონები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ როგორც გზებზე, ასევე ქალაქში და მის გარეთაც,მათი თავშეყრის ადგილი რკინიგზის სადგურია და ასეთი მეძავეების ასაკი განსხვავებულია. გოგონები გამოძახებით მუშაობენ საყოფაცხოვრებო მომსახურების ბიუროებში, ასევე მუშაობენ იატაკქვეშა საროსკიპოებში, რომლებიც ეკუთვნის დანაშაულებრივი ჯგუფებისა და ორგანიზებული დაჯგუფებების წარმომადგენლებს.

არსებობს მეძავეების კატეგორია, რომლებიც მუშაობენ სასტუმროებში და ემსახურებიან უცხოელ ტურისტებს, კლიენტები ხშირ შემთხვევაში მდიდარი ადამიანები არიან და ოქროს ნაკეთობებით უმასპიძლდებიან მათ.

დამნაშავეთა ერთ-ერთ საშიშ კატეგორიას წარმოადგენს მძარცველი-ყაჩაღები , რომელიც სამ კატეგორიად იყოფა: ფულადი სახსრების დამტაცებელი საფინანსო სისტემის ობიექტებზე, რომლებიც თავს ესხმიან მოქალაქეებს ბინაში და თავს ესხმიან ავტომანქანის მფლობელებს მისი დაუფლების მიზნით. მძარცველი-ყაჩაღები მოქმედებენ ორგანიზებული ჯგუფების სახით, მათ აქვთ იარაღის სხვადასხვა სახეობები, ტექნიკური საშუალებები და შენიღბვა. დამნაშავეთა სხვა კატეგორიებისგან ისინი განსხვავდებიან სისასტიკით და ორიენტირებულები არიან მოქალაქეთა ქონების დაუფლებაზე.

გამომძალველები იყოფა ტრადიციულ და ახალ გამომძალველებად. მას მიმართავენ კარგად ორგანიზებული ჯგუფები, რომლებსაც ჰყავთ მეთაურები, აქვთ ქცების განსაზღვრული ნორმები. თანამედროვე საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანი არის პროფესიული მკვლელი, ისინი კარგად არიან მომზადებულნი. მათი ერთი ნაწილი იარაღს ტოვებს დანაშაულის ადგილზე იმ მიზეზით, რომ გამოძიება მცდარი გზით წავა, მეორე ნაწილს მიაქვს იარაღი და ცდილობს ნივთიერი მტკიცებულება არ დატოვოს. ქილერს ახასიათებს საკონტროლო გასროლა თავის არეში და მსხვერპლის გაუძარცველობა, ისინი ხშირად იყენებენ სხვადასხვა სახის ასაფეთქებელ ნივთიერებებს.

3. პროფესიულ დანაშაულობის დეტერმინანტები

4.1.პროფესიულ დანაშაულობის გამომწვევი მიზეზები

პროფესიულ დანაშაულობას გააჩნია სპეციფიკური მიზეზები. ეს შეიძლება იყოს ქვეყანაში არსებული, სოციალური-ეკონომიკური პირობები, კულტურისა და განათლების დაბალი დონე, დასაქმების ნაკლებობა. პროფეიული დანაშაულობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს მატერიალური დოვლათი, რომლის მიღწევის ერთ-ერთი გზა არის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა. კრიმინალურ პროფესიონალიზმთან ბრძოლა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, იდეოლოგიურ და სამართლებრივ ღონისძიებათა სისტემას. სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში პროფესიული დამნაშავისთვის დამახასიათებელი ნიშნების სრულყოფა, ასევე პროფესიულ დამნაშავეთა გამოვლენა და მათზე მუდმივი კონტროლის დაწესება, სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის სრულყოფა, ამ ტრადიციებისა და ჩვეულებების მატარებელ პირთა სააშკარაოზე გამოტანა, დამნაშავეებისათვის ზიანის ანაზღაურების ახალი სისტემის შექმნა იქნება ხელშემწყობი პრიფესიული დანაშაულობის აღმოსაფხვრელად. დანაშაულობასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს პროფესიულ დანაშაულობასთან ბრძოლას, პროფესიულ დამნაშაეთა

კატეგორია ყველაზე მცირერიცხოვანი ჯგუფია, მაგრამ დანაშაულის ყველაზე მეტ რაოდენობას სჩადის და საფრთხეს უქმნის საზოგადიებისა და მოქალაქეების ინტერესებს.

4.2.პროფესიულ დანაშაულობის ხელშემწყობი ფაქტორები

დანაშაულობასთან ბრძოლა შეუძლებელია მისი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების შესწავლის გარეშე, მასთან ბრძოლა როგორც სამართალდამცავი ორგანოების ძალით, ასევე კანონის მეშვეობით და სხვა ბერკეტის ამოძრავებით უნდა მოხდეს. არსებობს მიზეზობრიობის მატერიალისტური და იდეალისტური გაგება. მიზეზობრიობის შეცნობის წყაროს წარმოადგენს ბუნებისა და საზოგადოების ობიექტური კანონზომიერება, ხოლო იდეალისტურის მიხედვით ეს წყარო ადამიანია. ამ თემასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება აქვს ამერიკელ მეცნიერს ტ.სელინის, „მეცნიერებამ უარი უნდა თქვას მიზეზობრივ კონცეფციაზე და მას უნდა მიმართოს მხოლოს გარკვეულ ელემენტებსა და ფაქტებს შორის ფუნქციონალური ურთიერთობების აღსანიშნავად.“

საზოგადოებრივ მეცნიერებებში მიზეზობრივი კავშირის დადგენა უფრო ძნელად ხდება ვიდრე ბუნებაში. სამართალდამცავმა ორგანოებმა ისწავლეს დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოვლენა, ხოლო მეცნიერებამ შეიმუშავა მათი დადგენის მეთოდიკა. კანონმდებელს აქვს დამტკიცებული სამართალდამცავი ორგანოების მოვალეობა, დანაშაულის ჩადენის მიზეზები, ხელშემწყობი პირობები და თავიდან აცილების ღონისძიებები.

დანაშაულობის მიზეზობრიობის კატეგორია მოიცავს მიზეზს, პირობას, შედეგს, კავშირს მიზეზსა და შედეგს, პირობასა და მიზეზს, პირობასა და შედეგს შორის, უკაკავშირს შედეგსა და მიზეზს შორის. პროფესორი მ. შარგოროდსკის მიხედვით, დანაშაულობის მიზეზებად შეიძლება ჩავთვალოთ ყველა ის გარემოება რომელთა გარეშე ის ვერ წარმოიშობოდა, ყველა ის გარემოება სხდვსხვა როლს ასრულებს, ზოგიერთი მოტივს ქმნის, ზოგი შესაძლებლობას სინამდვილედ აქცევს. კონკრეტული დანაშაულის მიზეზებია ის ძალები, რომლებიც გამოიწვევენ სუბიექტს ინტერსს და მოტივს მის ჩასადენად.

ზოგიერთმა მეცნიერმა დანაშაულობის კვალიფიკაციის საფუძვლად სრული და სპეციფიკური მიზეზის ფილოსოფიური ცნება აღიარა. რაც შეეხება სრულ მიზეზს საჭიროა მოხდეს დამატებითი კლასიფიკაცია რაც საფუძვლად უნდა დაედოს პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას. ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერები ვარაუდობენ, რომ დანაშაულს წარმოშობს ფაქტორთა თეორია.

თანამედროვე კრიმინოლოგები გამოყოფენ დანაშაულობის შემდეგ მიზეზებს, საერთო მიზეზები რომლებიც მოიცავს მასზე ზემოქმედების ზოგად სოციალურ და სხვა კანონზომიერებებს, დანაშაულობათა ცალკეული სახეების მიზეზებს, კონკრეტულ დანაშაულთა მიზეზებს, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს თავიდან ასაცილებადი ღონისძიებები. დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობები, რომლებიც თავად არ იწვევენ დანაშაულის ჩადენას მაგრამ მათ გარეშე რთულია დანაშაულის ჩადენა. ა.გერცენზონი ეყრდნობა თეორიულ დებულებებს და მის მიხედვით კრიმინოლოგია განასხვავებს მიზეზებს პირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას და გარემოებებს. კრიმინოლოგია ასევე ანსხვავებს ობიექტური და სუბიექტური ხასიათის მიზეზებს, პირობებს და გარემოებებს. პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის დამახასიათებელია კონკრეტული სახის მიზეზი, პირობა და გარემოება,

ხოლო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის სხვა სახის მიზეზები.

დანაშაულობის მიზეზების შესწავლას დიდი პრაქტიკული და მეცნიერული მნიშვნელობა აქვს, მასზეა დამოკიდბული დანაშაულის მოსპობის ან დანაშაულის აცდენის განხორციელება. მიზეზბის შესწავლის ხერხი სხვდასხვანაირია, ესენია: სისხლის სამართლის, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული. დანაშაულობის მიზეზი შეიძლება განსაზღვრავდეს ინდივიდუალური შეხედულებების ობიექტურ შესაძლებლობას, რაც საფუძვლად ედება სბუექტის დანაშაულებრივ ქცევას, ცალკეული სუბიექტის ზნეობრივი ჩამოყალიბების პირობა, ასევე სუბიექტური და ობიექტრი პირობები და გარემოებები, რომლებიც გვლენას ახდენენ დანაშაულის წარმოშობაზე.

დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების შესწავლას აუცილებელია საფუძვლად დაედოს ზოგადი ცოდნა მიზეზობრივი კავშირის შესახებ. ცნება აუცილებელი ხასიათისაა, ერთი და იგივე მოვლენა ერთნაირ პირობებში ყოველთვის ერთსადაიმავე შედეგს იწვევს, ის რაც ერთ მიმართებაში შედეგია, მეორე მიმართებაში მიზეზი იქნება და შესაძლებელია პირიქით მოხდეს, ანუ მიზეზი დროში წინ უსწრებდეს შედეგს და იწვევდეს მას. პირობებს თავად არ შეუძლიათ გამოიწვიონ მოცემული შედეგი, მაგრამ შეუძლიათ უზრუნველყონ მიზეზობრიობის ისეთი განვითარება რომელიც აუცილებელია მოცემული შედეგის დადგომისთვის.

მიზეზებისა და მათი მოქმედების პირობების ცოდნა ადამიანს აძლევს შესაძლებლობას წინასწარ მართოს პროცესი, ხოლო რაც შეეხება მიზეზობრივ კავშირს- ესაა ობიექტური კავშირი ადამიანის ქმედებასა და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის. ადამიანის მოქმედება არასდროს არ არის ერთადერთი მიზეზი შედეგის და მას შეუძლია მოვლენის წარმოქმნა. მიზეზობრივი კავშირის არსებობისთვის საკმარისია ადამიანის

მოქმედება, რომელიც შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. სისხლის სამართალში მიზეზობრივი კავშირი მყარდება ადამიანის მოქმედებასა და იმ შედეგს შორის, რომელიც გათვალისწინებულია კანონში. მიზეზობრიობის გარკვევა აუცილებელია დანაშაულობის საერთო მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების შესასწავლად, ზოგადი მიზეზების ცოდნა აუცილებელია განსახილველ დარგში ჩადენილი დანაშაულის შესწავლისა და თავიდან აცილებისთვის. დანაშაულობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ნებისმიერი დანაშაული იგი შედგება ყველა იმ თვისებისა და ნიშნისგან რაც ამ მოვლენას ახასიათებს. დანაშაულობის მიზეზების შესწავლა კრიმინოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა.

კრიმინოლოგიაში მიზეზობრიობის ზოგად თეორიაზე დაყრდნობით, დანაშაულობის სრული მიზეზი მოიცავს იმ მოვლენებსა და პროცესებს, რომელთა არსებობაც ბადებს შედეგს, ხოლო სპეციფიკური მიზეზები წარმოქმნიან შედეგს გარემოებების არსებობის შემთხვევაში.

დანაშაულობა განიხილება რთულ სოციალურ მოვლენად, მასში შედის საზოგადოებრივი ცხოვრების განსხვავებული სფერო და სხვდასხვა კრიმონოგენური ფაქტორები. მოცემული პრობლემის გადაჭრაში დიდ როლს თამაშობს დანაშაულთა მიზეზების გამოკვლევის თეორიული ბაზა. ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის მიზეზად მიჩნეულია გარკვეული წრის ანტისაზოგადოებრივი შეხედულებები, გარემოებები, რომლებიც აყალიბებენ ასეთ შეხედულებებს, ცხოვრებისეული სიტუაციები, რომლებიც იწვევენ დანაშაულებრივ ქმედებებს.

დანაშაულობისა და დანაშაულის მიზეზები მოიცავს სხვდასხვა ელემენტს, რომელიც საშუალებას იძლევა მიზეზების როგორც კრიმინოგენური მოვლენების განხილვას. სისხლის სამართლში მიზეზობრივი ჯაჭვის ბოლოს დანაშაულია, კონკრეტული სახის

დანაშაულობასთან ბრძოლის პრობლემა განხილულია, როგორც დანაშაულობის საერთო მიზეზების პრობლემის შემადგენელი ნაწილი.

დანაშაულობათა შინაგანი და გარე მიზეზები ქმნის მოვლენებისა და პროცესების კომპლექსს, რომლებიც გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. ზოგადი მიზეზები მოქმედებს გარემოს დონეზე და ისნი ხარისხობრივად განსხვავებულია, მაგრამ ურთიერთკავშირშიც არიან დანაშაულობის მიზეზებთან. კრიმინოგენური მოვლენის ურთიერთკავშირის დახასიათებისას საჭიროა ის ნიშნები რომელბიც ხსნიან კრიმინოგენური კომპლექსების მექანიზმს დანაშაულებრივ ქცევასთან მიმართებაში. დანაშაულს არ იწვევს მხოლოს ზოგადი მიზეზები, რომლებიც მოქმედებენ მსხვილი სოციალური ჯგუფის დონეზე, არამედ არსებობს მთელი სისტემა რამაც საბოლოოდ უნდა განაპირობოს პიროვნების უარყოფითი თვისების ფორმირება. კრიმინოგენური მოვლენებისა და პროცესების უწყვეტი კავშირი საშუალეებას იძლევა განვიხილოთ ისინი, როგორც მოვლენებისა და პროცესების ერთიანი კომპლექსი რაც შეადგენს დანაშაულობის მიზეზებს.

დანაშულობათა მიზეზების შესწავლა საფუძვლად უნდა დაედოს მიზეზობრივი კავშირის შესახებ ზოგადი ცოდნა, დანაშაულის მიზეზები და პირობები, რაც განაპირობებს დანაშაულობას, როგორც სოციალური მოვლენის არსებობას და კონკრეტული დანაშაულის ჩადენას, დანაშაულობის შენარჩუნება, დანაშაულობის კონკრეტულ მიზეზებად და ხელშემწყობ პირობებად შეიძლება ვაღიაროთ, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, სამართალდამცავი ორგანოების პასიურობა, სამართლებრივი ნორმების შესრულებისადმი გულგრილობა, კრიმინოგენური ფაქტორები განსხვადებიან დონეებით, თითოეულ დონეს გარკვეული ადგილი უკავია დანაშაულის ჩადენაში, ნეგატიური ფაქტორები განაპირობებენ დანაშაულთა არსებობის შესაძლებლობას, პიროვნებისა და სიტუაციის ურთიერთქმედებას, რომელიც ხორციელდება ინდივიდუალურ დონეზე და იწვევს დანაშულის ჩადენას.

დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულობათა მიზეზების აღმოფხვრის საქმიანობის მართვის პროცესის ორგანიზებას. საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობები, მათი გადალახვის პრაქტიკის ნაკლოვანებები და არასრულყოფილობა წარმოქმნის დანაშაულობათა მიზეზებს.

4.3. პროფესიულ დანაშაულობის ჩამდენი პირის მახასიათებლები

პროფესიული დანაშაულობის ჩამდენი პირის დახასიათება შესაძლებელია მრავალ ფაქტორზე იყოს დამოკიდებული,დანაშაულობის ჩამდენი პირები კი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან,ისინი გამოირჩევიან პიროვნული მახასიათებლით,დანაშაულობის ჩადენის დაგეგმით,ხერხით ,მისი დამალვის მცდელობის ხერხით.ზოგადად დანაშაულის ჩამდენი პირი,ცდილობს იყოს ფრთხილი,კარგად ორგანიზებული,წინასწარ განზრახული.

ნებისმიერი ასაკის პირთა დანაშაულობა ხასიათდება კრიმინოლოგიური თავისებურებით. იმ პირთა განათლების დონე რომელემაც დანაშაული ჩაიდინეს ახალგაზრდულ ასაკში არ განსხვავდება არასრულწლოვან დამნაშავეთა დონისგან. დამნაშავეთა შემადგნელობაში სჭარბობს იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც მუშაობენ, ასევე დიდია იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც არ სწავლობენ და არც მუშაობენ, ხშირად შევხვდებით დანაშაულის ჩამდენ პირს, რომელიც იმფოება არაფხიზელ მდგომარეობაში.

წესრიგის დარღვევის ყველა შემთხვევას, როგორც წესი, იწვევს თავისებური მიზეზები და პირობები. ეს შეიძლება აიხსნას ახალგაზრდის

ფსიქიკური თვისებებით. ახალგაზრდას, რომელსაც ჯერ კიდევ არ აქვს გამოცდილება, სოციალური სიმწიფე სურვილი უჩდნება დაამტკიცოს რომ არის დამოუკიდებელი, ამას კი ხშირ შემთხვევაში მივყავართ დანაშაულამდე. შესაძლებელია მან გარემოს მოვლენებში დაინახოს ნაკლოვანებები და არასწორად შეაფასოს ისინი.

ერთ-ერთ გარემობას, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდის მიერ დანაშაულის ჩადენას არის ის ნაკლოვანებები, რომლებიც ნაკლებად შესამჩნევი იყო ახალგაზრდობის დროს. დანაშაულის ჩადენისადმი მიდრეკილების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ოჯახის გავლენა. მაგალითად ოჯახის წევრების ცუდი ქცევები, რაც შეიძლება გამოიხატოს ლოთობაში, ჩხუბში, ამორალლურ საქციელში, შრომისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში. ზოგიერთი ბოროტმოქმედი ადვილად აღწევს იმას, რომ გაიყოლიოს დანაშაულის ჩასადენად ნაკელბად შეგნებული, მერყევი ხასიათისა და სუსტი ნებისყოფის ახალგაზრდა. შრომითი დაუსაქმებლობა სწავლის მიტოვების შემდეგ განაპირობებს დანაშაულობისკენ მიდრეკილებას. პირის ახალგზრდობაში ზედამხედველობის გარეშე დატოვება შეიძლება ბიძგის მიმცემი იყოს დანაშაულის ჩადენისთვის. ახლგაზრდების გარკვეული ნაწილი ადრეულ ასაკში არ არის მზად ანტისაზოგადოებრივი ქცევის წინააღმდეგ მოქმედების და ესეც შეგვიძლია მივიჩნიოთ დანაშაულობის მიზეზად. პირის დამნაშავედ ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან გვალენას ახდენს საყოფაცხოვრებო გარემოცვა. ახალგაზრდის ნორმალური ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის აუცილებელია ახალგზარდა არ იზრდებოდეს არახელსაყრელ გარემოცვაში. ახალგზარდის ცხოვრებას მნიშვენლოვანწილად განაპირობებს მისი ინტელექტუალური და კულტურული განვითარების დონე, გონებრივი განუვითარებლობა. ალკოჰოლი დიდ ზიანს აყენებს ადამიანის მთელ ორგანიზმს, განსაკუთრებით კი ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ალკოჰოლის ზემოქმედების შედეგად ირღვევა თავის ტვინის ნორმალური

ფუნქციონირება და ასუსტებს ადამიანის უნარს გაითვალისწინოს მისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

ძალადობრივი დანაშაულის ჩადენა მეტწილად დამახასიათებელია მამაკაცებისათვის, ქალების წილი კი მცირეა. ეს შეიძლება ავხსნათ მამაკაცებისა და ქალების ფსიქოლოგიური თავისებურებებითა და მათი სოციალური როლით. მამაკაცები ქალებთან შედარებით მეტად არიან ორიენტირებულნი აგრესიულობასა და ძალადობაზე, უფრო ხშირად ხვდებიან ისეთ სიტუაციებში რომელსაც შეიძლება მოჰყვეს კრიმინალური კონფლიქტი. დანაშაულს ჩადიან ნებისმიერი ასაკის პირები და ეს დამოკიდებულია დაბალ კულტურასა და ინტელექტუალური განვითარების დაბალ დონეზე. დამნაშავეთა ნახევვარზე მეტი დაკავებულია ისეთი საქმიანობით რომელიც მოითხოვს დაბალ კვალიფიკაციას. ასეთი პირისთვის დამახასიათებელია ნეგატიური ყოფაქცევა და ჩვევები. დანაშაულს ასევე ხშირ შემთხვევსი სჩადიან ადრე ნასამართლევი პირები.

დანაშაულთა ჩადენის კრიმინოლოგიური სურათი სრული იქნება ვიქტიმოლოგიური მახასიათებლებით შევსების შემდეგ. ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება კრიმინოლოგიურ და ვიქტიმოლოგიურ გამოკვლევათა ცალმხრივობის თავიდან აცილება. ნეგატიურ ქცევათა ყველაზე მეტი პროცენტი მოდის ისეთ პირებზე, რომლებიც მსხვერპლად გვევლინებიან განზრახ მკვლელობებსა და სხეულის მძიმე დაზიანებებში.

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით მნიშვენლოვანია ზნეობრივ სამართლებრივი და სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების გააზრება და ცოდნა. დანაშაულობის თავიდან აცილებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ანტისაზოგადოებრივი ელემენტების კონცენტრაციის ადგილების ოპერატიულ დამუშავებას.

დამნაშავის დახასიათებისას პიროვნულ სტრუქტურაში გამოარჩევენ მის ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორთა თანაფარდობის როლს.

დამნაშავეებს გააჩნიათ გარკვეული თვისებები რომლებიც მათში უფრო მძაფრადაა გამოხატული ვიდრე კანონმორჩილ მოქალაქეებში. დამნაშავის პიროვნების შეცნობის მიზნით ყველაზე ნაყოფიერად დამნაშავისა და არადამნაშავის განმასხვავებელი თვისებების აბსტრაქტულ ძიებასთან ერთად გვეხმარება პიროვნების შესწავლა დავიწყოთ დანაშაულებრივი ქცევის ფორმირების პროცესით.

5. პროფესიულ დანაშაულობის თავიდან აცილება

დანაშაულობის თავიდან აცილებაში დიდი მნიშვენლობა აქვს ანტისაზოგადოებრვი ელემენტების კონცენტრაციის ადგილების ოპერატიულ დამუშავებას. ძალადობით დანაშაულთა თავიდან აცილებაში ასევე დიდი როლი შეუძლია შეასრულოს ზოგიერთი კატეგორის პირთა ფიზიკური დაცვის უზრუნველყოფამ, რაც უნდა დარეგულირდეს საკანონმდებლო დონეზე.

თანამედროვე საზოგადოების თავისებურებები მასში წინასწარ განსაზღვრავენ დანაშაულობის ფუნქციონირების სპეციფიკას, ეს კი თავის მხრივ წინასწარ განსაზღვრავს საზოგადოების ადეკვატურ რეაქციათა ფორმირებას. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ საზოგადოებაშია ჩადენილი დანაშაულის წარმოშობისა და ფუნქციონირების მიზეზები, ამავდროულად ის თვითონვე შეიცავს იმ პირობებს, რომლებიც აკავებენ დანაშაულობის განვითარებას და ასეთი პირობები ფესვებს იდგამენ როგორც ეკონომიკაში, ასევე პოლიტიკაში და საზოგადოების სოციალურ-ფსიქოლოგიურ საფუძვლებში.

დანაშაულობაზე ეფექტიანი კონტროლის დასაწესებლად აუცილებელია გატარდეს დანაშაულობისა და მის განმაპირობებელ ფაქტორთა შორის არსებული ურთიერთმიმართების ანალიზი, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს დანაშაულობის შესწავლას, რომელიც მიგვანიშნებს მის განმაპირობებელ ფაქტორებზე, სწორედ ამიტომ დანაშაულობის კვლევის მეთოდიკას დიდი მნიშვნელლობა ენიჭება.

რაც შეეხება საქართველოს, დანაშაულობის თავიდან აცილების პროცესი უნდა წარიმართოს საზოგადოებრივ ცვლილებათა გათვალისწინებით. ცვლილებები ეხება კრიმინოგენურ ფაქტორთა ფორმირებას, ფუნქციონირებას. განივათარებული ქვეყნების ეკონმიკური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ძლიერი ეკონმიკის ფაქტორს არ შეუძლია დადებითი ზეგავლენა მოახდინოს დანაშაულობაზე იმ მიზეზის გამო, რომ ის მჭიდროდ უკავშირდება დანაშაულობის სხვა ფაქტორთა ფორმირებასაც. საქართველოში დანაშაულობის ფორმირების ძირითადი პრობლემები დაკავშირებულია არაფორმალური სოციალური კონტროლის სურვილის გაზრდასთან, საზოგადოებრივი ცნობიერება ხელს უწყობს მის ფორმირებას რომლის უმთავრეს ფასეულობას მატერიალური უზრუნველყოფა მიიჩნევა.

დანაშაულობის თავიდან აცილების საკითხი ძნელი გადასაჭრელია რადგან უმრავლესობის მოთხოვნილებები დაკავშირებულია კეთილმოწყობილ ცხოვრებასთან, გაზრდილ მატერიალურ მოთხოვნილებებთან, პოლიტიკური ფაქტორიც დიდ როლს თამაშობს დანაშაულობის თავიდან აცილებაში. სამართლებრივი ფაქტორის ზეგავლენის თვალსაზრისით აუცილებელია გააქტიურდეს მუშაობა კანონმდებლობის სრულყოფისათვის იმ პრობლემათა გათვალისწინებით, რომელიც დღედღეობით დგას და მისაღები კანონმდებლობის შექმნა იქნებოდა პიროვნების უფლებების დაცვის გარანტი სახელმწიფოს თვითნებობისაგან.

დანაშაულობის თავიდან აცილების ცნება სხვადასხვა საზოგადოებრივ-ისტორიულ ეპოქაში საზოგადოების მიერ არაერთგვაროვნად გაიზარებოდა და ყოველთვის იყო დამოკიდებული საზოგადოების განვითარების დონეზე, მის წარმოდგენაზე ადამიანური ბუნების შესახებ. საბოლოოდ სწორად ამის საფუძველზე იბადებოდაა დანაშაულობის თავიდან აცილების ყველაზე არსებული კონცეფცია.

ვთანხმდებით,რომ დანაშაულობის თავიან აცილება უნდა დარეგულირდეს საკანონმდებლო დონეზე,უნდა მიეცეს სერიოზული სახე და გატარდეს მრავალი ღონისძიება მის აღმოსაფხვრელად,ამას დასჭირდება პროფესინალი და გამოცდილი ადამიანების ჩართულობა თანაბარ დონეზე და ერთი მთავარი მიზნის ირგვლივ გაერთიანება.მართალია მოითხოვს დროს და ენერგიას,მაგრამ ასეთი რეფორმის გატარება მნიშვნელოვანი და საკეთილდღეობა იქნება როგორც ქვეყნივს ასევე მისი მოსხლეობისთვისაც.

5.1. საერთო პროფილაქტიკური ღონისძიებები

ადამიანები ადვილად ადგებიან დანაშაულებრივ გზას,ეს კი ზნეობრივობის არ ქონას შეიძლება გამოეწვია.პროფესიულ დანაშაულობას გააჩნია სპეციფიკური მიზეზები და სწორედ ესენი იწვევენ დანაშაულის ჩადენას.დანაშაულის ჩადენა უკავშირდება იმ ტრადიციებსა და ჩვევებს,რომლებიც უკავშირდება სისხლის სამართალს.დიდი ყურადღება ენიჭება იმ გარემოს,სადაც დამნაშავეთა შეგნება რადიკალურად იცვლება,ძირითადად ასეთი ადგილი არის პროფესიულ დამნაშავეთა გვერდით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.პროფესიულ დამნაშავეებს შორის ტრადიციები და ჩვეულებები გადაეცემა,ისინი პროპაგანდას უწევენ და ითრევენ ახალგაზრდებს მსგავსი დანაშაულის ჩადენაში.

პროფესიულ დამნაშავეობასთან ბრძოლა მრავალი წელია მიმდინარეობს და ის გულისხმობს პირველ რიგში სახელმწიფოს ხელშეწყობას,ანუ მის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს.ერ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად,რომლითაც შეიძლება დაიწიოს დანაშაულობის დონე შეიძლება ჩაითვალოს კანონმდებლობის სრულყოფა უშუალოდ პროფესიულ დანაშაულობასთან ბრძოლის ნაწილში,ასევე ერთ-ერთი გზა არის გამოვლენილ პროფესიულ დამნაშავეებზე მუდმივი კონტროლის დაწესება,გაანალიზებული იყოს ის ხერხებიც,რომლებსაც იყენებდნენ დანაშაულის ჩადენის დროს და შესწავლილი იყოს ნებისმიერი სხვა დამატებითი ინფორმაცია რამაც ხელი შეუწყო დანაშაულობის ჩადენას.აუცილებელია იმ ორგანოების მომზადება მაღალ დონეზე,რომლებსაც უწევთ დანაშაულობის წინააღმდეგ გარკვეული ღონისძიებების გატარება,ისინი უნდა იყვნენ კვალიფიციურები და უნდა მოხდეს მათი სრულყოფა პროფესიულ დონეზე,რათა მათთვის უფრო მარტივი გახდეს პროფესიულ დამნაშავეებთან დაკავშირებული საკითხების გამოკვლევა.ასევე დიდი მნიშვნელობა უნდა მიექცეს დაზარალებულებს,რომლებსაც პროფესიული დამნაშავეებისგან მიადგათ ზიანი და უნდა მოხდეს ამ ზიანის დაუყოვნებლივ ანაზღაურება.

5.2. სპეციალურ -კრიმინოლოგიური ღონისძიებები

მრავალი ღონისძიების მოფიქრება არის შესაძლებელი,რათა პროფესიული დამნაშავე აიძულონ დანაშაულის ჩადენისგან თავი შეიკავოს,ერთ-ერთი ასეთი ისეთი პირობების შექმნაა მათთვის,სადაც შეძლებენ სხვისთვის წართმეულის თავად გამომუშავებას და უკან დაბრუნებას.მართალია ამ ნორმას დღევანდელ კანონმდებლობაში ვერ შევხვდებით,მაგრამ თუ ეს ნორმა დამუშავდება პროფესიონალების მიერ და დაემატება,შესაძლებელია გახდეს პროფესიული დანაშაულობის თავიდან

აცილების ერთ-ერთი მიზეზიც,რადგან როდესაც დამნაშავეს ეცოდინება მოუწევს პასუხის გება ამ ხერხით,შესაძლებელია სწორედ ეს გახდეს დანაშაულზე უარის თქმის მიზეზი,მითუმეტეს თუ მისი განთავისუფლების წინაპირობა იქნება სასჯელის მოხდასთან ერთად იმ ყველაფრის გამომუშავება და დაბრუნება,რის გამოც მოუწია თავისუფლების აღკვეთა.ასევე შესაძლებელია სხვა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება,რომლის მთავარი მიზანი იქნება არა ის,რომ ძალადობით ან რაიმე სხვა ცუდი ხერხით აეკრძალოთ დანაშაულის ჩადენა,არამედ მათთვის შექმნილი უნდა იყოს ისეთი პირობები,რომ პირველ რიგში უარი თქვან დანაშაულის ჩადენაზე,ან ამ ყველაფერს მოყვეს ისეთი შედეგები,რომელიც შესასრულებლად იქნება რთული და არ უნდა უღირდეთ ამ ყველაფრად დანაშაულის ჩადენა.არსებობს კიდევ უამრავი ხერხი,რომლის შემუშავებაც შეუძლია სახელმწიფოს,მარტივია დამნაშავისთვის თავისუფლების აღკვეთა ჩადენილი დანაშაულისთვის,მაგრამ გარანტია არ არსებობს იმისა,რომ გათავისუფლებული იგივეს არ გაიმეორებს,უნდა მოხდეს დანაშაულის პრევენცია ერთხელ და საბოლოოდ,მოქალაქეს აღარ უნდა ჰქონდეს სურვილი ჩაიდინოს რაიმე კანონსაწინააღმდეგო,რადგან შესაძლებელია საერთოდ ვერ ხვდებოდეს რა მოჰყვება მის ამგვარ უკანონო შედეგს,უნდა იყოს ინფორმაციის მიწოდება უმაღლეს დონეზე,თუ რა მოყვება დანაშაულის ჩადენას და შესაძლებელია ესეც ერთ-ერთი გზა იყოს დანაშაულობის აღმოფხვრის სხვა ბევრ გზასთან ერთად.

5.3. ინდივიდუალური პროფილაქტიკა

თითოეულ დანაშაულის ჩამდენი პირი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან,ყველას მისთვის დამახასიათებელი ხასიათი,შეხედულებები,უნარ-ჩვევები და ფსიქიკა აქვს,ამიტომ კარგი

იქნება იმის გათვალისწინება,რომ ყველას სჭირდება სხვადასხვანაირი მიდგომა,ამის გათვალისიწნება თავის მხრივ უფრო დახვეწავს ბრძოლის მეთოდებს და უფრო შედეგიანს გახდის მას.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი,რომ ყველა პროფესიული დამნაშავე უნდა იყოს ერთნაირ პირობებში,ეს ქმედება აუცილებლად უნდა გამოიხატოს თავისუფლების აღკვეთით,მაგრამ შესაძლებელია სხვადასხვა იყოს მათი გამოსწორების ხერხი.მისაღები იქნება თუ მასთან იმუშავებენ პროფესიონალი ფსიქოლოგები,აუხსნიან მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და მისთვის უფრო ნათელი გახდება და შესაძლებელია გადამწყვეტიც რომ მისი საქციელი ძალიან ამორალურია და მას ეს არ უნდა გაეკეთებინა და არ არსებობს მისი გამართლების არც ერთი გზა.

დასკვნა

ყველა ვთანხმდებით,რომ დანაშაული ეს არის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება,რომელიც წარმოადგენს საშიშროებას საზოგადოებისათვის და კანონით მისი ჩადენისთვის გათვალისწინებულია სანქციები.დანაშაულობა თვის მხრივ მოიაზრებს მრავალ სახეობას,რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ჩადენის ხერხით,დამნაშავეთა რაოდენობით,მისი დაფარვის გზებით,ანუ სხვადასხვა სახეობის დანაშაულისთვის დანახასიათებელია განსხვავებული სპეციფიკა,ამიტომ განსხვავებული უნდა იყოს მისი აღმოფხვრის გზებიც.

ჩემს მიერ შექმნილ ნაშრომში,ძირითადი ყურადღება მქონდა გამახვილებული პროფესიულ დამნაშავეობაზე,დეტალურად იყო განხილული თუ საიდან იღებს სათავეს,რა პირობებმა შეწყო მას ხელი რომ დღემდე არ დაეკარგა აქტუალობა,დახასიათებული არიან ამ დანაშაულის ჩამდენი პირები,ჩამოთვლილია ის ხერხები და საშუალებები,რითაც პროფესიული დამნაშავეები ცდილობენ დანაშაულის ჩადენას,შეძლებისდაგვარად ახსნილია რა მიზეზები უბიძგებთ მათ ამ დანაშაულის ჩადენას,რატომ მიდიან ამხელა რისკზე,რომელიც უმრავლეს

შემთხვევაში კრახით სრულდება.დიდ როლს დამნაშავედ ჩამოყალიბებაში მაინც თამაშობს ის პირობები,რომელიც ბავშვობაში ჰქონდა ადამიანს შექმნილი,ის გარემოცვა სადაც მას მოუწია იმ დროის გატარება,რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის ჩამოყალიბებისას,ზრდასრული ასაკის შეუფერებელ,სხვა მისწრაფების მქონდე ადამიანებთან გატარება.

პროფესიული დანაშაულობაც განსხვავდება მისი სპეციფიკის და ჩადენის ხერხების მიხედვით,მაგრამ ასეთი დამნაშავეები ერთი იდეის ქვეშ არიან გაერთიანებულნი,რომ ქურდობით მიიღონ ფინანსური სარგებელი.ყველა დამნაშავეს განსხვავებული მიზეზი აქვს დანაშაულის ჩადენის,მაგრამ თითოეული მათგანი უპატიებელია და მისი გათვალისწინება არ არის დაშვებული,ყველა დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს ჩადენილი დანაშაულის გამო.

ქართული სისხლის სამართლისთვის უცხო არ არის პროფესიული დანაშაულობა,ხშირია მისი შემთხვევები,არის დასჯადი ქმედება და სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სანქციებს მისი ჩადენის შემთხვევაში.იმისათვის,რომ დანაშაული სრულიად აღმოიფხვრას საჭიროა გატარდეს სხვა დამატებითი ღონისძიება,თითოეულ დამნაშავეს გათვიცნობიერებული უნდა ჰქონდეს თუ რას სჩადის და რა შეიძლება მის ასეთ საქციელს მოჰყვეს.

დანაშაულის ჩამდენი პირისთვის,არ აქვს მნიშვნელობა,ეს იქნება პროფესიული დამნაშავე თუ სხვა კვალიფიკაციის,აუცილებელია გაითავისოს ნებისმიერი დანაშაულის სიმძიმე,ის უარყოფითი მხარე,რაც აუცილებლად მოჰყვება დანაშაულის ჩადენას,საკმარისი არ არის მხოლოდ დასჯა და ამ სახის პასუხისგება ჩადენილ საქციელზე,უნდა შემუშავდეს გარკვეული მიდგომები დამნაშავეებთან,რომ ფსიქოლოგიურად ჰქონდეთ გაცნობიერებული,რომ ნებისმიერი დანაშაული არის ცუდი და არსებობს უამრავი სხვა გზა ცხოვრების უკეთ დასაგეგმად და წარმატების მისაღწევად.

არ აქვს მნიშვნელობა დანაშაულის ჩამდენი პირის პიროვნულ დახასიათებას,იმ მიზეზებს თუ რამ უბიძგა მას დანაშაულის ჩადენა,ხერხებს რაც გამოყენებული აქვს,იმას თუ რამდენი ადამიანი მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში,ყველა მათგანი მართალია უნდა დაისაჯოს,ისე როგორც იმსახურებს,მაგრამ აუცილებლად უნდა შეიქმნას ისეთი მექანიზმი,რაც უკვე დამნაშავედ ჩამოყალიბებულ ადამიანს შეუცვლის მსოფმხედველობას,დაანახებს სამყაროს სხვა კუთხით და მისცემს იმის შესაძლებლობას,უარი თქვას უკანონოდ მითვისებულ ქონებაზე და უკეთესებისკენ წაიყვანს მის ცხოვრებას შრომის წყალობით.

ლიტერატურა:

კრიმინალურ პროფესიონალიზმთან ბრძოლამ, ახალი ხედვების ჩამოყალიბება განაპირობა. დანაშაულის საერთო მაჩვენებლის ზრდის ფონზე მისი თავიდან აცილების საკითხი სულ უფრო აქტიურად დადგა დღის წესრიგში. ამ თვალსაზრისით, ჩვენს საკვლევ თემატიკასთან მიმართებაში დიდ დახმარებას გაგვიწევს, როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურა,: სამეცნიერო სტატიები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები. ამ ეტაპზე მოძიებული და დამუშავებული მაქვს ქემოთ ჩამოთვლილი ლიტერატურა:

1) გოძიაშვილი ი. კრიმინოლოგია

2) წულაია დ. კრიმინოლოგია,თბილისი,2014

3) კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში,თბილისი,2008

4) ედლერი ფ.,მიულერი გ.ო.ვ,ლაუფერი ვ.ს,შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში,2003

5) შალიკაშვილი მ. კრიმინოლოგია,თბილისი,2011

6) შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემია,ოპერატიული მუშაობის ფსიქოლოგიური ასპექტები,ანტი-კორუფციული სამსახურისთვის

7) წულაია ზ. კრიმინოლოგია(ზოგადი და კერძო ნაწილი),თბილისი,2005

8) გაბიანი ა. დანაშაულობის მიზეზების შესახებ,თბილისი

9) ფაფიაშვილი შ.კრიმინალისტიკა-დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა,თბილისი,2001

10) ავტორთა კოლექტივი,კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში,თბილისი,2003

11) საქართველოსკონსტიტუცია

12) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

13) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

14) საქართველოს კონსტიტუცია

15) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

16) Paul Bergman, J.D Sara Berman,The criminal law handbook,know your rights,survive the system,2013

17) Kelly Frailing,Dee wood Harper,Fundamentals criminology.

18) Essential criminology,2014

19) Козаченко И.Я.,Корсаков К.В,КРИМИНОЛОГИЯ, МоскваБ2018

20) Долговой А.И. КРИМИНОЛОГИЯ, МоскваБ2001

21) НИЖЕГОРОДСКИЙ ОБРАЗОВАТЕЛЬНЫЙ КОНСОРЦИУМ ВОЛГО-ВЯТСКАЯ АКАДЕМИЯ ГОСУДАРСТВЕННОЙ СЛУЖБЫ, КРИМИНОЛОГИЯ: НАУЧНЫЕ ИННОВАЦИИ, Нижний Новгород 2009

22) С. В. Шевелева, А. А. Гребеньков В. Е. Новичков, КРИМИНОЛОГИЯ, Курск 2011

23) АЛЕКСЕЕВС.Л, САЛИМЗЯНОВАР.Р. КРИМИНОЛОГИЯ , г. Казань2013

24) Journal of Criminal Law and Criminology

25) https://mega.nz/#!xeJlnI6K!DriG6P0hONLv-3QnrHZHFJgr6IME8VYwF5k-NB8dAYc

26) https://mega.nz/#!BbIXkK6I!3l7pztkveEZj8bgGKZMnBceWTL6D732gdlrEaTuKImI

27) https://mega.nz/#!tOoUECxZ!6IQ102O7oN-bodttGUuwu1VwTCtvOfO89hoWG8Ov9IY

28) https://mega.nz/#!5OAXUKTD!zKkfAQdeFf7PmZ-6mchJ00TQltgli00VBEIQ7m98pqI

29) https://mega.nz/#!UTAjHbiZ!tdRI_ZRXlYkZ0CJzKivTxRFhoCEeceyJZhbs3sYxyI8

30) https://mega.nz/#!Eao0ESDa!HoYKuhNmrWiQMMjH9Cc-ikUkKwisw7RUeaJ93vS7uuo

31) https://mega.nz/#!ReogSYyC!jOqcuXn_t3GvtAeCfaR67oJdNoaaP7Ezi2-nwksvJ_E

32) https://mega.nz/#!Yfg0HCAC!ocYCknL9kh2D7aC5hMsRMiJbiFmm6R9EN5bnICzp7A8

33) https://police.ge/files/proeqtebi_reporma%20photos/organizebuli-danashauli/organizaciuli-danashauli.pdf

34) http://www.grandars.ru/college/pravovedenie/ponyatie-kriminologii.html